პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
მთავარი კანტორა: ტბილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).

რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: პარტიულ ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში—140 ათასი მანეთი, პროვინციაში—180 ათ. მ. ყველა დანარჩენ ხელის მომწერთათვის მიტანით: ქალაქში 200 ათ. მ. პროვინციაში 240 ათასი მ. განცხადებ—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 800 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 10,000 მან.
პროვინციაში 12,000 მან.

№ 137 სამშაბათი, 20 ივნისი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი სამშაბათი, 20 ივნისი 1922 წ. № 137

თბილისის მუშებო, წითელ-არმიელებო და ყველა მშრომელნო!
აირჩიეთ საბჭოში კომუნისტები.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა

დღეს, საღამოს 6 საათზე, სასახლის სპარსულ დარბაზში შესდგება სრულიად საქართ. ცენტრალურ აღმასკომის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა

მდივანი თ. კალანდაძე.

საქართველოს კომპარტიის კონფერენცია

ამა წლის ივნისის 25-ს მოწვეულია პირველი პარტიული კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1) მოხსენება მე-11 ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის მორიგი ამოცანები;
2) მოხსენება გენუის კონფერენციის შესახებ;
3) მოხსენებები ადგილებიდან;
4) მუშაობა პროფკავშირთა შორის;
5) მუშაობა ახალგაზრდათა შორის;
6) საორგანიზაციო აღმშენებლობა;
7) საფინანსო პოლიტიკა;
8) მიმდინარე საქმეები.

ცეკას სეკრეტარიატი.

ხუთშაბათს, 22 ივნისს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირის საბჭოს დიდ დარბაზში (შესავალი ბარიათინის ქუჩიდან) შესდგება

პროფკავშირთა საბჭოს პლენუმის გაფართოებული სხდომა

პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ გამგეობის, ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების და ადგილობრივ კომიტეტების მონაწილეობით.

დღის წესრიგი:

1) კავშირებში საღამოს მუშაობა.
2) მუშათა დასასვენებელი სახლები.
3) მუშათა სახლი.
4) მიმდინარე საკითხები.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმი.

3—1

ჰააგა

ჰააგის კონფერენციის წინასწარი სხდომა უკვე შესდგა. კონფერენციაზე მოელიან ორასამდე წარმომადგენლებს ევროპის სახელმწიფოებისას. დაახლოებით ერთ კვირაში ჩვენ მოწამენი შევიქნებით ბურჟუაზიული ევროპისა და პროლეტარული რუსეთის ხელახალი „შეხვედრის". გასარჩევია საკითხები, რომლებზედაც კისერი მოიტეხა ევროპის დიპლომატიამ გენუიაში და „უანდერძა" ისინი ჰააგის თათბირს. როგორი არის ძალთა ურთიერთობა ამ თათბირის წინა დღით და პერსპექტივები კონფერენციის?

ჰააგა ღვიძლი შვილია იმ ერთნაირი „სასოწარკვეთილების", რომელიც დამახასიათებელი შეიქნა გადაუჭრელ წინააღმდეგობათა ჩიხში მომწყვდეულ გენუის კონფერენციის უკანასკნელი დღეებისათვის. ცენტრალური ღერძი, რომლის ირგვლივ ტრიალებდა გენუის კონფერენცია, იყო რუსეთის საკითხი, უფრო კონკრეტულათ, ის სოციალ-პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც შექმნა ოქტომბრის რევოლიუციამ რუსეთში, დამოკიდებულება ამ ურთიერთობასთან ევროპის (და არა მარტო მისი) ბურჟუაზიის მხრივ. როგორც ამის შესახებ ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაჰკიოდნენ გენუის ინიციატორები და აქტორები, ამ კონფერენციას მიზნათ უსახავდნენ ევროპის დანგრეული მეურნეობის აღსადგენათ პრაქტიკული გეგმების გამომუშავებას. კონფერენციაზე ნათლათ გამოირკვა, რომ ეს „აღდგენა" ევროპის კაპიტალს ესმის მხოლოთ როგორც მოგების და ზემოგების ამოწურვა დარბეული და გაძვალტყავებული ევროპის ხალხებისაგან და მასთან ერთათ „მშვიდობიანი" დამორჩილება საბჭოთა ქვეყნების, გაუქმება რევოლიუციის მონაპოვართა იქ, დამონება და ახალშენათ გადაქცევა მათი. საბჭოთა დელეგაციამ საზღვარი დაუდო მადა ათამაშებულ იმპერიალისტებს და მათ გასაქანი გზა გადაუჭრა. მებრძოლი იმპერიალიზმი შეურიგებელ საფრანგეთ-ბელგიის მეთაურობით არ სთმობს თავის პოზიციას ჯერ-ჯერობით. მებრძოლი კომუნიზმიც საბჭოთა რუსეთის სახით არ სთმობს იმ პოზიციას, რომლის გარკვეული გამოხატულება იყო ცნობილი მემორანდუმი მაისის თერთმეტის. ეს ორი აშკარა მოწინააღმდეგე კვლავ „შეხვდებიან" ერთმანეთს ჰააგაში. რამდენათ გარკვეულია პოზიცია ამ ორი შეურიგებელი ანტიპოდის, იმდენათ გაურკვეველია ჯერ კიდევ ანტანტის შემადგენელ სახელმწიფოების შორის ურთიერთი დამოკიდებულება, იმ კონკრეტიულ კითხვების გარჩევისა და გადაწყვეტის დროს, რომლებსაც შეეხება ჰააგის კონფერენცია. ამ მხრივ ინტერესს არ არის მოკლებული ის შეხლა-შემოხლა მემორანდუმებით, რომელსაც ადგილი ჰქონდა ინგლის-საფრანგეთ შორის უკანასკნელ დღეებში. ტრადიციულმა წინააღმდეგობამ რუსეთის საკითხში ერთხელ კიდევ ჰპოვა თავისი გამოხატულება ამ დუელში. რასაკვირველია, ბოლოს და ბოლოს მგელი მგლის ტყავს არ დახევს, მაგრამ ცხადია, რომ ღრენას მათ შორის კვლავ ადგილი აქვს და მოხერხებულათ სარგებლობა ამ წინააღმდეგობის საჭიროა. ამას სათანადო ანგარიშს გაუწევს საბჭოთა დელეგაცია ჰააგაშიც ისევე, როგორც ეს გენუაში მოხდა. ამით აიხსნება საფრანგეთის ცდა წინასწარი შეთანხმების მიღწევის მოკავშირეთა შორის, რათა ერთიანი ფრონტი კვლავ არ შეიქნეს გაბზარული, როგორც ამას ადგილი ჰქონდა რამოდენიმეჯერ პირველ კონფერენციაზე იტალიაში.

ცხადია საბჭოთა დელეგაცია ყოველ ღონეს იხმარს მაქსიმალურათ შესაძლებელი სარგებლიანობა ამოიღოს საფრანგეთ-ინგლისის წინააღმდეგობიდან, მაგრამ, მიუხედავათ ამ წინააღმდეგობისა, სრულიადაც არ იქნება მოულოდნელი, რომ გარკვეულ გადამჭრელ მომენტში მათ ისევ მოახერხონ ურთიერთ შორის მორიგება და ამნაირათ ხელახლა გადაიშლება შესაძლებლობა სეპარატიულ შეთანხმებათა, რომლებსაც, თვით გენუაში მიღებულ ეგრედ წოდებულ „გარანტიების ხელშეკრულების" თანახმად, უკეთესი პერსპექტივები აქვთ, ვინემ ეს იყო ამდენ ხანს.

რამდენადაც ჰააგაში შეკრებილი ბურჟუაზიული სახელმწიფოების წარმომადგენლები, მთელი ქვეყნის და პირველ რიგში მშრომელი მასების დასანახათ, კვლავ გამოაშკარავებენ, რომ ევროპის სასიცოცხლო ინტერესებს ისინი სწირავენ ისევ და ისევ ზე-მოგების ღმერთს, სწირავენ გაუმაძღარ მადას ყაჩაღური კაპიტალისას, იმდენათ უფრო ფართოთ გაიხსნება გზა ჯერ კერძო კაპიტალისტთა ჯგუფებთან, შემდეგ კი მთელ სახელმწიფოებთან უკვე ოფიციალურათ სეპარატიული შეთანხმებისა.

ასეთი თუ ისეთი გზით, ერთი ცხადია ჰააგის „გოლგოთიდანაც" საბჭოთა რესპუბლიკები დაბრუნდებიან ბატონ-პატრონები თავიანთ თავის და თვითმყრობელნი თავიანთი ბედიღბლის. ამ აზრით ჰააგის მომავალ საბჭოთა დელეგაციასთან იქნება ავტორიტეტი და ერთსულოვანი ურყევი ნებისყოფა ყველა საბჭოთა რესპუბლიკების, როგორც ეს იყო გენუის კონფერენციის დროსაც.

თბილისის საბჭოს არჩევნები

როგორც ყოველ დიდ არჩევნებს, თბილისის საბჭოს მიმდინარე არჩევნებს აქვს ორი მხარე—პოლიტიკური და ეკონომიური, საქმიანი ხასიათის.

და თბილისის პროლეტარიატი, როცა მას გაყავს ახალ საბჭოში კომუნისტური პარტიის კანდიდატები, ამით იგი გამოხატავს არა მარტო იმ რწმენას, რომ ისინი მთელ ძალღონეს შესწირავენ ქალაქის საქმეების მოგვარებას, მის მეურნეობის აღორძინებას, მშრომელთა ინტერესების მიხედვით.

ქალაქის საბჭო სამეურნეო-ადმინისტრატიულ და კულტურული ორგანიზაციაა, და ამ სფეროში მუშაობის გაჩაღება თავის თავად ცხადია, მის პირდაპირ ფუნქციას შეადგენს. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ მის ნაყოფიერ მოღვაწეობას.

მაგრამ მუშათა კლასის მისწრაფება არ შემოისაზღვრება ასეთი პრაქტიკულ, თუნდაც დიდი ღირებულების მქონე მოქმედებით. პროლეტარიატის იდეალები და ჰორიზონტი უფრო ფართეა, და ამ, თავის საბოლოო პერსპექტივებს უმორჩილებს ის მორიგ, ყოველდღიურ საქმიანობას. ყოველი მისი ნაბიჯი და საქმე გაშუქებულია ამ საბოლოო მიზნით, რომლისაკენ მიისწრაფვის მუშათა კლასი. ყოველ მოქმედებას და მიღწევას ამ ფართე თვალსაზრისით ენიჭება აზრი და თავისი ადგილი.

რევოლიუციონური მუშათა კლასი ისე არასოდეს არ დაქვეითდება, რომ „ობივატელური" აზროვნებით გაიჟღენთოს, მარტო „წვრილმან საქმეთა" იდეოლოგია შეითვისოს და ლუკმა პურისათვის ბრძოლით განისაზღვროს. და ეს ხდება იმიტომ, რომ პროლეტარიატმა მშვენივრად იცის, მისი ცხოვრების ძირითადი გაუმჯობესება შესაძლებელია მხოლოდ მშრომელ მასსების საბოლოო მიზნის განხორციელების, შრომის სუფევის, კომუნიზმის დამყარების შემდეგ. და ყოველ მიღწეულ ცალკე გამარჯვებას ის აფასებს არა მარტო იმ მხრივ, რომ ის რამოდენიმედ დღესაც უმსუბუქებს მას მდგომარეობას, არამედ იმ მხრივაც, რომ ეს გამარჯვება აახლოვებს მუშათა კლასს მის საბოლოო იდეალთან.

—ჩვენ გვახსოვს, რომ ქალაქის საბჭოს წარსულ არჩევნებში მოვლენის ამ მხარეს, პოლიტიკურ მხარეს მთავარი ადგილი ეკავა. მაშინ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეტაკა ერთი მეორეს ორი ორიენტაცია—რევოლიუციონური და კონტრ-რევოლიუციონურ-რეაქციონური, კომუნისტური და მენშევიკური-წვრილ-ბურჟუაზიული. პროლეტარიატი ერთსულოვნად დადგა მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ნიადაგზე.

ამიტომაც მან ზურგი შეაქცია მენშევიკებს, უარყო ამ უკანასკნელის ორიენტაცია იმპერიალისტურ და კაპიტალისტურ დასავლეთზე და მჭიდროდ დაუკავშირდა საბჭოთა რესპუბლიკებს.

ეხლა მიმდინარე არჩევნებშიაც არ ივიწყებს თბილისის პროლეტარიატი პოლიტიკურ მომენტს, დღესაც ძველებურად, როგორც ნახევარი წლის წინედ, სდგას იგი საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე, და გამოსთქვამს ურყევ გადაწყვეტილებას განაგრძოს ბრძოლა კაპიტალის დასამხობად და რევოლიუციის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად ჩვენი პროლეტარიატის მცირე, მაგრამ შეგნებული და მტკიცე რაზმი უფრო აძლიერებს კავშირს მთელ მსოფლიოს მუშებთან და ამაგრებს წითელ კომუნისტურ ინტერნაციონალის მებრძოლ შტაბს.

კერძოდ იგი უფრო ანვითარებს კავშირს რევოლიუციის კერასთან, საბჭოთა რუსეთთან და მჭიდრო დუღაბით აერთიანებს ამიერკავკასიის ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს.

მიმდინარე არჩევნებშიაც თვალსაჩინოდ დაამტკიცებს პროლეტარიატი, რომ, მიუხედავად ათასგვარ გაჭირვებისა, ის არ დაღლილა; ის ძველებურად რევოლიუციონური ენერგიითაა აღსავსე, ფხიზლად დგას სადარაჯოზე და მზად არის ეკვეთოს ყოველ მტერს, ვინც შეეცდება საბჭოს მიწა-წყალის გადალახვას და მშრომელთა უფლებების მოსპობას.

და თბილისის პროლეტარიატი ქალაქის არჩევნებში თავის ხმას აძლევს კომუნისტურ პარტიის კანდიდატებს არა მარტო იმიტომ, რომ მათ შესწევთ ძალა და უნარი დანგრეული ცხოვრების მოწყობის, მეურნეობის აყვავების და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ იმიტომაც, რომ კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს მსოფლიო რევოლიუციას და გმირულად იბრძვის მისი საერთაშორისო მასშტაბით გამარჯვებისათვის.

თბილისის პროლეტარიატი არჩევნებში სრულ ნდობას უცხადებს კომუნისტურ პარტიას და ამით ის ერთხელ კიდევ ამტკიცებს რომ მისთვის უწინდებურად ძვირფასია მსოფლიო რევოლიუცია და სოციალიზმი.

თბილისის საბჭოში ირჩევენ კომუნისტებს.

17 ივნისს მოხდა არჩევნები მეორე სახელმწიფო ფურნეში. მოხსენება გააკეთა ამხ. ბურჯანაძემ. მოხსენების შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლიუცია საბჭოთა ხელისუფლებისა და კომპარტიის ერთსულოვნად დახმარების შესახებ. საბჭოში არჩეულ იქნა ამხ. კობერიძე (კომუნისტი).

18 ივნისს არჩევნები ხდებოდა კერძო ფურნეების და „კავშირთა კავშირის" მუშებში იმგვარივე ერთსულოვნებით. არჩეულ იქნა კომუნისტი ამხ. არჩვაძე.

იმავე დღეს 1, 2, 3 და 4 კომისარიატების მარქაფა რაზმმა და სისხლის სამართლის მაძიებელმა რაზმმა მოისმინა რა მოხსენება საბჭოს არჩევნების შესახებ, ერთხმად აირჩია ამხანაგები მაჩაიძე, და მეტრეველი, ხოლო მათ კანდიდატათ ცურპუნია (კომუნისტები).

არჩევნები

პურის მცხობელთა შორის.

რეზოლიუცია.

მოისმინა რა მოხსენება „თბილისის მუშათა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოს ხელახალი არჩევნების" შესახებ, მე-IV რაიონის კერძო ფურნეებისა და სხვა კერძო წარმოებათა მუშების საერთო კრება, თავის სალამს უგზავნის ქალ. თბილისის მე 2 საბჭოს, როგორც ქალაქის პროლეტარიატის ნებისყოფისა, იმედებისა და მისწრაფების გამომხატველს. მიგვაჩნია რა 1 საბჭოს მოღვაწეობა დამაკმაყოფილებლად, ჩვენ სურვილს გამოვთქვამთ, რომ ახალი საბჭოს მუშაობაც იმგვარადვე და კიდევ უფრო ნაყოფიერი ყოფილიყოს.

გაუმარჯოს პროლეტარიატის ხელმძღვანელ და მშრომელთა ინტერესების ერთგულ დამცველს კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს თბილისის მუშებისა და წითელ-არმიელების დეპუტატების მეორე საბჭოს.

როგორც ზევითაა მოხსენებული, საბჭოში ერთხმად არჩეულ იქნა დეპუტატათ მუშა—კომუნისტი, ამხ. არჩვაძე.

რადიო-დეპეშები

ბიულეტენი ამხ. ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

მოსკოვი. 18 ივნისი, (რადიო) კუჭისა და წვლების ტრაქტის მხრივ სიმპტომები, რომელიც 10 დღის განმავლობაში არსებობდა, ამ ჟამად სავსებით გაქრენ. ყველა შინაგანი ორგანოები იმყოფებიან სავსებით ნორმალურ მდგომარეობაში ტემპერატურა და მაჯა ნორმალურია. სისხლის მიმოქცევაში, არსებული დაშლა თანდათან სუსტდება. ავადმყოფი ადგა ლოგინიდან, თავს კარგად გრძნობს, მაგრამ ვერ ეგუება ექიმების მიერ გამოწერილ უმოქმედობას.

ხელს აწერენ: პროფ. კლემბერგი, პროფ კრემერი. ექიმები: კოჟევნიკოვი და ლევინი. სახ. ჯანმრთელობის კომისრის მოადგილე სოლოვიოვი.

ესერების პროცესი

მოსკოვი, 18 ივნისი (რადიო). 16 ივნისის საღამოს სხდომაზე იძლეოდა ჩვენებას ბრალდებული კონოპლიოვას ქალი, რომელიც შეჩერდა განსაკუთრებით სამხედრო მუშაობაზე, სამხედრო ძალების შეკრებაზე. № დივიზიაში და კრების პარტიის ორგანიზაციის მოქმედებაზე ბრალდებული მოუთხრობს სასამართლოს იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც იგი აწარმოებდა ერთ გენერალთან, რომელსაც დიდი თანამდებობა ეკავა ჩრდილოეთის ფრონტზე მყოფ წითელ არმიაში. კონოპლიოვის ქალი აცხადებს, რომ ამ მოლაპარაკებას იგი აწარმოებდა გოცის ცნობით და დასტურით. კონოპლიოვას ქალის ჩვენებიდან სჩანს, რომ იმ დროს, როდესაც ანიარაღებდენ № დივიზიას, გაფიცვების გამო (გამოტოვებულია)...... კონოპლიოვას ქალის შეკითხვაზე, ცნობს თუ არა გოცი, რომ მას მინდობილი ქონდა მოლაპარაკების წარმოება (დამახინჯებულია) სახელმწიფო ღალატის შესახებ, გოცი უპასუხებს ყალბი პათოსით.

17 ივნისის დილის სხდომაზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს ბრალდებულ სემიონოვის ჩვენება, რომელიც ააშკარავებს საიდუმლო მუშაობას ესერების პარტიის ცენტრალური კომიტეტისას, დაწყებული დამფუძნებელი კრების გარეკიდან, ვიდრე 1918 წლის მაისამდე. სემიონოვი ლაპარაკობს ცეკას პირმოთნე პოლიტიკის შესახებ, რომელიც ყოველთვის მიკიბ-მოკიბულ ჩვენებას იძლეოდა, თუ კი იგი ეხებოდა გამოსვლებს (გამოტოვებულია) ....იგი აღშფოთებული უპასუხებს: „მე ერთხელ და სამუდამოთ კატეგორიულად უნდა განვაცხადო, რომ მე უარს ვამბობ ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემაზე—და რომ მე უფლება მაქვს გავაკეთო ის, რასაც მე რამოდენიმე წლის განმავლობაში ვაკეთებდი, როდესაც ესერების პარტიის რიგებში ვიყავი. მე ეს უფლება მოვიხვეჭე იმით, რომ ტყვიას უშვერდი შუბლს. და მას შემდეგ, რაც კომუნისტი გავხდი, მე არა ერთხელ მიმიშვერია შუბლი ტყვიისათვის და თქვენ კი, მიუბრუნდა სემიონოვი ცეკისტებს, არა გაქვთ არავითარი უფლება შედიოდეთ ჩემი მოქმედების სისწორისა ან უმართებულების განხილვაში. თქვენ დიდი ხანია რაც დაკარგეთ ეს უფლება.

სხდომის დასრულების წინ თავმჯდომარე მიმართავს საზოგადოებას და ბრალდებულებს თხოვნით იყვნენ მშვიდათ და ნუ ცხარობენ, რადგანაც იმ პროცეს, რომელიც ეხლა სწარმოებს, აქვს დიდი ისტორიული მნიშვნელობა. სხდომა იხურება ორშაბათამდის.

სასამართლოს თავმჯდომარემ მიუთითა პრესის წარმომადგენლებს იმის შესახებ, რომ აუცილებელია უფრო სერიოზულათ მოეპყრონ პროცესსა და ბრალდებულებს.

ჰააგის კონფერენცია

მოსკოვი. 18 ივნისი. ჰააგის კონფერენციის წინასწარი სხდომა მოხდა დახურულ კრებაზე. კონფერენციის შენობაში არავის უშვებდენ, რამაც დიდი აღშფოთება გამოიწვია საფრანგეთის და ინგლისის ჟურნალისტების შორის—„რეჩ პოსპოლიტა" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჰააგის კონფერენცია იკრიბება ისე ნაკლებად მომზადებული, როგორადაც არ ყოფილა ჯერ არც ერთი კონფერენცია. იმ 18 სახელმწიფოებიდან, რომელთაც მიიღეს მოწვევა, პირველ სხდომაზე დაესწრო მხოლოდ ნახევარი.

— ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ რუმინიის დელეგატმა ჰააგაში დიამანტიმ მიიღო ინსტრუქცია, რომელიც ავალებს წინააღმდეგობა გაუწიოს ბესარაბიის საკითხის განხილვას.

— „ბერლინერ ტაგებლატი" სთვლის ჰააგის კონფერენციას საფრანგეთის და ინგლისის შეჯიბრებად. თუმცა საფრანგეთმა უჩუმრად უარყო, მოთხოვნილება, რათა რუსეთს წაელო უკან 11 მაისის მემორანდუმი, მაგრამ იგი მაინც იმედოვნებს, აიძულოს საბჭოთა მთავრობა, რომ ამ უკანასკნელმა დიდ სახელმწიფოთა ძალდატანებით გაატაროს საფრანგეთისათვის სასურველი შინაური რეფორმები, ინგლისი წინააღმდეგია რუსეთის შინაურ საქმეებში ამგვარი ჩარევისა და სცდილობს მიაღწიოს რუსეთთან ნამდვილ თანამშრომლობას. გაზეთი ფიქრობს, რომ რუსეთთან დამოკიდებულება წავა სეპარატიულ შეთანხმებათა დადების გზით.

— „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგი" ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იტალია და ამერიკა არ არიან დაინტერესებული ჰააგაში, სანამ იქ არ იქნებიან რუსები. ამიტომ იტალიელი და ამერიკელი ჟურნალისტები ჩავლიან ჰააგაში მხოლოდ 26 ივნისს.

— სტინესის მისვლამ ჰააგაში გამოიწვია დიდი სენსაცია.

ნაუენი. 17 ივნისი (რადიო). როგორც ლონდონის პოლიტიკური წრეები ფიქრობენ, ჰააგის კონფერენცია არ დამთავრდება უნაყოფოდ, რადგანაც ინგლისს განზრახვა აქვს მსხვერპლი გაიღოს ევროპის აღდგენისათვის და არ სურს დაარღვიოს საერთო მშვიდობიანობა. ინგლისის საზოგადოებრივი აზრი მოელის, რომ კონფერენცია განახორციელებს მას, რა დაპირებანიც წარმოსთქვა ლლოიდ-ჯორჯმა გენუაში და მნიშვნელოვანად შეამცირებს რუსეთის ვალებს.

თათბირის თავმჯდომარის არჩევა.

ბორდო. 17 ივნისი (რადიო). ჰააგის კონფერენციის თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ჰოლანდიის გარეშე საქმეთა მინისტრი ვან კარნებეკი. წინადადება სამი კომისიის არჩევის შესახებ—ვალების, კრედიტებისა და კერძო საკუთრების,—უეჭველად იქნება მიღებული.

„კერძო საკუთრება".

რომი. 17 ივნისი (რადიო). ჰააგის თათბირზე იტალიის დელეგატმა ავცანმა შეიტანა წინადადება ყველა იმ საკითხების გადაწყვეტის შესახებ, რომელიც შეეხება რუსეთს და განსაკუთრებით კი კერძო საკუთრების საკითხს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

გადასახადი სახალხო წარმოდგენებზე.

მოსკოვი. 10 ივნისი. იმ მიზნით, რათა ადგილობრივ გადასახადებიდან გადიდებულ იქნას შემოსავალი, სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილების პროექტი სახალხო წარმოდგენებზე გადასახადის შესახებ, ამ პროექტის თანახმად წარმოდგენები და სანახაობანი იყოფა 6 ხარისხად განათლების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით თვითეულ ხარისხზე განსაზღვრულ გადასახადის ჯამის შეწერით. პროექტი გადაეცა სრულიად რუსეთის ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტს დასამტკიცებლად.

ბინებიდან გამოსახლების შესახებ.

მოსკოვი. 10 ივნისი. სახალხო კომისართა საბჭოს 24 აპრილის დადგენილებით გათვალისწინებულია საცხოვრებელ ბინებიდან გამოსახლება სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბინას არ უვლიან და არ იძლევიან საბინაო გადასახადს, რადგანაც გამოირკვა, რომ მხოლოდ ასეთი საბაბი არ არის საკმარისი გამოსახლებისათვის, კომუნალური მეურნეობის სამართველომ გამოიმუშავა კანონის პროექტი, რომლითაც გამოსახლების შესაძლებლობა შემოღებულია შემდეგ შემთხვევებში: თუ განასაჩივრებს სახელმწიფო წარმოების ადმინისტრაცია იმ შენობიდან გამოსახლების შესახებ, რომელიც სავსებით მის განკარგულებაში და ხარჯებზეა და გაშენებულია მის ტერიტორიაზე. თუ განასაჩივრებს დაწესებულება ან წარმოების ადმინისტრაცია გარეშე პირთა გამოსახლების შესახებ იმ საერთო საცხოვრებელ ბინიდან, რომელიც ამ ორგანიზაციის ხარჯებზეა, და ისეთ პიროვნებაზე გამოსახლების შესახებ განსაჩივრებით, რომელთანაც მისი ყოფა ქცევის გამო შეუძლებელია ერთად ცხოვრება.

პროფგანათლების საქმეთა საბჭო.

მოსკოვი 10 ივნისი. პროფესიონალურ განათლების მთავარ სამმართველოსთან მოეწყო უმაღლესი და საშუალო პროფესიონალურ განათლების საბჭო საერთო საორგანიზაციო და სამეცნიერო-მეთოდიური საკითხების გადასაჭრელად.

ნიჟეგოროდის ბაზრობა.

მოსკოვი. 10 ივნისი. აქვს რა მხედველობაში, რომ მთელი რუსეთისათვის დიდმნიშვნელოვანია კოოპერაციის აქტიური მონაწილეობით ნიჟეგოროდის ბაზრობის გახსნა, ცენტრო-კავშირი იწვევს საერთაშორისო კოოპერაციის წარმომადგენელთ ბაზრობაში მონაწილეობის მისაღებად. ეს მონაწილეობა უნდა გამოიხატოს წარმომადგენელთა გაგზავნაში და საქონლის ნიმუშების მოწოდებაში. ამ ჟამად ლონდონიდან უკვე მიღებულია პასუხი ცენტრო-კავშირის წარმომადგენლისაგან დასავლეთ ევროპის კოოპერაციის წარმომადგენლებისთვის მოწვევის შეტყობინების შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები საზღვარ-გარეთიდან.

მოსკოვი. 10 ივნისი. უკანასკნელი 3 დღის განმავლობაში საზღვარ-გარეთიდან მოვიდა პეტროგრადში 20 ვაგონი სასოფლო მეურნეობის იარაღები.

სამეცნიერო კავშირი საზღვარ გარეთთან.

მოსკოვი. 10 ივნისი. სამეცნიერო აკადემიის დამოკიდებულების განახლება საზღვარ-გარეთთან გაცხოველებით სწარმოებს. მოდის წერილები არა მარტო ევროპიდან და ამერიკიდან, არამედ ინდოეთიდანაც. საზღვარ გარეთიდან. მოდის მრავალი სამეცნიერო გამოცემები.

იამბურგის სახელწოდების შეცვლა.

მოსკოვი. 18 ივნისი. კომინტერნის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო იამბურგის საბჭოსაგან მისალოცი დეპეშა იამბურგის სახელწოდების კინგსეპად შეცვლის გამო, ესტონეთის „დემოკრატიულ მთავრობის" მიერ ვერაგულად მოკლულ ესტონეთის მუშათა წინამძღოლის ხსოვნის აღსანიშნავად.

საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულების სრულიად რუსეთის კონფერენცია.

მოსკოვი. 18 ივნისი. 17 ივნისს გაიხსნა საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულთა სრულიად რუსეთის კონფერენცია, უცხოეთის სავაჭრო დაწესებულებათა წარმომად-

გენლების მონაწილეობით. თავიანთ მისალმოც სიტყვებში, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. რიკოვი, გარეშე საქმეთა კომისარიატის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლიტვინოვი და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბოგდანოვი, ერთსულოვნად აღნიშნავდენ საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის შეურყევლობის და რესპუბლიკის ეკონომიური ფრონტის მთლიანობას. თავის განცხადებაში რიკოვმა აღნიშნა, რომ ყველა ის ხმები, რომელიც გავრცელდა საზღვარგარედ, საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის ვითომდა მოსალოდნელ მოსპობის და შეზღუდვის შესახებ, სრულიად უსაფუძვლოაო.

ამხ. კალინინის მოგზაურობის გამო.

ხარკოვი. 19 ივნისი. რატაუს კორესპონდენტთან საუბრის დროს ამხ. კალინინმა განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთის გუბერნიების დათვალიერების დროს მან მიიღო ისეთი შთაბეჭდილება, რომ მიმდინარე წელს ყველაზე უფრო მოსავლიანი გუბერნიები იქნებიან კურსკის და ხარკოვის. „საერთოდ მე ვფიქრობ, განაცხადა ამხ. კალინინმა—წრევანდელი მოსავალი შარშანდელს გადაამეტებს 1 მესამედით და მოგვცემს ჩვენ საშუალებას, თუ სავსებით ვერ წამოვდექით ფეხზე, ყოველ შემთხვევაში აღარ იქნება მწვავე კრიზისი".

უცხოეთის დახმარება.

ნოვოროსიისკი. 9 ივნისი. ამერიკული კომიტეტის ადგილობრივმა ორგანიზაციამ, 6 თებერვლიდან დაწყებული 1 ივნისამდე მიიღო ამერიკიდან და გაგზავნა დამშეულ რაიონებში 140 მარშრუტი სურსათი, წონით 4 მილიონ ფუთზე მეტი. ამ ჟამად მოდის სასურსათო ტვირთები სპეციალურად ბავშვთა კვებისათვის. ა. ო. ა. ყოველ გეგმის გარეშე უწევს დახმარებას ყუბანს—შავიზღვის რაიონის დამშეულებს, კერძოდ ბავშვთა სახლებს.

„პურის ფაბრიკები".

მოსკოვი. 10 ივნისი. ცარიცინის გუბერნიის საფაბრიკო-საქარხნო წარმოებათა 10.000 მუშა-მუშამოსამსახურეების სურსათით უზრუნველყოფისათვის, ცარიცინის საგუბერნიო სახ. მეურნეობის საბჭომ გადასწყვიტა დაარსოს საკუთარი „პურის ფაბრიკები". ამ მიზნით საგუბერნიო სახ. მეურნეობის საბჭომ საგუბერნიო მიწ. მოქმედების განყოფილებისაგან აიღო იჯარით 6 საბჭოთა მეურნეობა, სივრცით 20.000 დესეტ. მიწ. ამ მიწაზე საგუბერნიო სახ. მეურნეობის საბჭომ დასთესა 7 ათასი დესეტინა ხორბალი და მოსტნეული. გარდა ამისა მომზადებულია მიწა შვრიასათვის 3.000 დესეტინამდე—და სწარმოებს დამზადება მიწებისა ანეული ნათესისათვის.

კანონების გამოქვეყნება.

მოსკოვი. 10 ივნისი. ფინანსთა სახ. კომისარიატთან არსებულ ეკონომიურ გამოკვლევათა ინსტიტუტში აღძრულია საკითხი ჩვენი ახალი ეკონომიური კანონმდებლობათა გამოქვეყნების შესახებ. უკანასკნელი კანონები იცემა ისეთის სიჩქარით და ხდება გამოქვეყნება ისეთ სხვადასხვაგვარ გამომცემლობით, რომ შეუძლებელი ხდება თვალყურის დევნება კანონების გამოცემისათვის და კანონმდებლობისათვის. ამიტომ განზრახულია ყველა კანონების გამოქვეყნების გაერთიანება მთავრობის განსაკუთრებულ გამოცემაში ძველი „მთავრობის უწყების" დაგვარად. ეს საკითხი გადაეცემა განსახილველად ფინანსთა სახ. კომისარიატის კოლეგიას.

გარიცხვა ეკლესიიდან.

მოსკოვი. 11 ივნისი. ეკლესიის საქმეების შესახებ არსებულმა უმაღლეს სამმართველომ გაარჩია საკითხი საზღვარ-გარეთ გაქცეულ მართლმადიდებელ მღვდლებთან და კერძოთ კარლოვიცკის საეკლესიო კრებაზე მონაწილეთადმი დამოკიდებულების შესახებ. დადგენილ იქნა მათთან ყოველგვარ კავშირის გასაწყვეტად გარიცხონ ისინი ეკლესიიდან. გარიცხვის ტექსტი უკვე შემუშავებულია და ამ დღეებში მისი დამტკიცებისათანავე გამოქვეყნებულ იქნება.

უცხოელ კაპიტალის მოზიდვა.

მოსკოვი. 11 ივნისი. ბერლინის ერთ-ერთ მსხვილმა ტეხნიკურმა ფირმამ წინადადება მისცა კომუნალურ მეურნეობის მთავარ სამმართველოს კომუნალურ წარმოებათათვის აუცილებელ ტეხნიკურ იარაღებისა და ხელსაწყოების მოწოდების შესახებ. ფირმა მზად არის გაუხსნას კრედიტი 5 მილიონი მარკამდის და უფრო დიდიც 20 მილიონამდის, იმ შემთხვევაში თუ გახდიან მის მონაწილეთ ასალორძინებელი კომუნალური წარმოებათა მოგებისა.

მეცნიერების დროებითი კომიტეტი.

მოსკოვი. 11 ივნისი. სახალხო კომისართა მცირე საბჭომ დაადგინა დაარსოს რიკოვის თავმჯდომარეობით მეცნიერების დროებითი კომიტეტი სამეცნიერო დაწესებულებათა სამეცნიერო და მატერიალურ საჭიროებათა გამოსარკვევად და მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ აუცილებელ ზომების მისაღებათ.

ღვინის წარმოების კრიზისი.

მოსკოვი, 11 ივნისი. ღვინის სამმართველოს პრეზიდიუმმა მოხსენება წარუდგინა შრომისა და თავდაცვის საბჭოს, იმ დიდი კრიზისის შესახებ, რომელსაც განიცდის რესპუბლიკის მევენახეობა და მეღვინეობა. მოხსენებაში ნათქვამია, რომ მევენახეობის ადგილის სივრცის შემცირების გარდა, მეღვინეობა დღეს საოცრად მძიმე პირობებშია ჩავარდნილი, რადგანაც არ არის სპეციალური საკანონმდებლო დამუშავებული ნორმები, რომელნიც აწესრიგებდენ მრეწველობის ამ დარგს. ამის გამო შრომისა და თავდაცვის საბჭომ წინადადება მისცა სახელმწიფო გეგმის კომიტეტს, საჩქაროთ დაიმუშავოს ის ღონისძიებანი, რომელიც შეძლებს სახელმწიფო მევენახეობისა და მეღვინეობის არსებითად გაუმჯობესებას და აგრეთვე გაარჩიოს საკითხი სათანადო საკანონმდებლო ნორმების კოდიფიკაციის შესახებ და კერძოდ საკითხი ერთი ორგანოს შექმნისა, რომელიც ბრძოლას გაუწევს ღვინის ფალსიფიკაციას, რომელმაც ამ ბოლო ხანებში საოცარი ხასიათი მიიღო.

მეცნიერთა სახლი.

მოსკოვი. 11 ივნისი. მეცნიერების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ცენტრალურ კომისიამ დაადგინა გახსნას მოსკოვში მეცნიერთა სახლი ივნისის 15 და 20 შუა. ამ მიზნისათვის გადაცემულია ცალკე სახლი ოსტოჟენკაზე. ამ ჟამად მთავრდება მისი მოწყობა-შეკეთება.

მურმანსკის ნავთსადგური.

მოსკოვი. 11 ივნისი. ბალტიის საზღვაო ტრანსპორტის კომისიამ დაათვალიერა მურმანსკის ნავთსადგური და მიიჩნია, რომ ნავთსადგურის მდგომარეობა ძალიან სახიფათოა. ნავთსადგურში შემჩნეულია საოცარი ნაკლებობა საარსებო საგნებისა, სრულებით არ არის ქონი, რომელიც ეგზომ საჭიროა პიონიარულ ქვეყნებში, არ არის აგრეთვე სათანადო ტანთსაცმელი და ფეხსაცმელი.

რედაქციისაგან: 19 ივნისს მოსკოვიდან რადიო დეპეშები არ მოსულა.

რუსეთ-სპარსეთის კონფერენცია.

მოსკოვი. 18 ივნისი (რადიო). 16 ივნისს გარეშე საქმეთა კომისარიატში დაიწყო სხდომები რუსეთ-სპარსეთის კონფერენციისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს სავაჭრო ხელშეკრულების პირობები. კონფერენციის გახსნისას შესავალი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. კარახანმა და სპარსეთის დელეგაციის თავმჯდომარემ.

პურის სესხი.

მოსკოვი. 18 ივნისი (რადიო). 16 ივნისისათვის პურის სესხზე ხელის მოწერა გამოიხატებოდა 7.350.000 ფუთში. ფინანსთა სახალხო კომისარიატმა გარდა ამისა გადასდო თავისთვის—2.000.000 ფუთი. სესხი თითქმის სავსებით არის განაწილებული.

დახმარება დამშეულთ.

მოსკოვი. 18 ივნისი (რადიო). სამარაში მოვიდა სასურსათო მარშრუტი 28 ვაგონით, რომელიც დატვირთული იყო პურით. რამოდენიმე მილიონ დამშეულ მუშებისა, მოსამსახურეებისა და გლეხობის სახელით საგუბერნიო აღმასკომი ღრმა მადლობას უცხადებს ხელისუფლებას საეკლესიო განძეულობის დაჩქარებითი რეალიზაციისათვის.

მთიულეთის რესპუბლიკაში.

ვლადიკავკაზი. 16 ივნისი. ანეული ქერის მოსავალი მთიულეთის რესპუბლიკაში წელს კარგია; ქერს აქვს დიდი თავთავები და მსხვილი მარცვლები, რესპუბლიკის ჩრდილოეთ რაიონებში უკვე დაიწყეს ნაწილობრივად ანეული ქერის აღება.

მთიულეთის ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გადასცეს პროფორგანიზაციებს გროზნოში და ვლადიკავკაზში არსებული ყველა შრომის სახლები.

სოფელ დარგევში, ვლადიკავკავის ოლქის, მოქალაქეთა საზოგადო კრებაზე მოხდა მცხოვრებლებისათვის მავნე ელემენტების გაცემა. გაცემულია 8 კაცი. დარგეველები აწარმოებენ ამ უკანასკნელ დროს აქტიურ ბრძოლას ბანდიტიზმთან. ამ ბრძოლის შედეგად მცარცველობა თითქმის შესწყდა.

კაპიტალიზმის საზოგადოებაში

გერმანია.

არ ცხრებიან.

ბორდო. 17 ივნისი (რადიო). გერმანიის პრესის ცნობით 24 ივნისისათვის გერმანიაში მოელიან მონარქისტების ფართო მანიფესტაციებს.

გერმანია და ერთა ლიგა.

ნაუენი. 17 ივნისი (რადიო). ერთა ლიგის ინგლისური სექციის პარლამენტარულმა კომიტეტმა, რიცხვით 40-მა, შეიტანა რეზოლუცია ევროპის მშვიდობიანობისათვის გერმანიის ერთა ლიგაში მიღების აუცილებლობის შესახებ.

ზემო-სილეზიაში.

ნაუენი. 17 ივნისი (რადიო). ზემო-სილეზიის საერთაშორისო კომისიასა და ზემო-სილეზიის გერმანულ-პოლონურ კომისიის შორის მოხდა შეთანხმება ოპელნის ევაკუაციის დეტალების შესახებ. საერთო ევაკუაციას მოკავშირენი მოახდენენ 24 დღის შემდეგ. ყველა გერმანულ შენობებზე გამოკიდებული იქნება დროშები ნიშნად გლოვისა, გერმანელების მიერ ამ მხარის დატოვების გამო.

ნებაყოფლობითი პლებისციტი.

ნაუენი. 17 ივნისი (რადიო). ზემო-სილეზიის ერთმა ნაწილმა, რომელიც გადადის ჩეხო სლოვაკიის ხელში, მოაწყო ნებაყოფლობითი პლებისციტი, რომ დაენახვებია მთელი ქვეყნისათვის თავის გერმანიისაკენ ლტოლვა. პლებისციტმა გერმანიის სასარგებლოდ მისცა თითქმის ერთსულოვანი ვოტუმი, ჩეხო სლოვაკიის მომხრე აღმოჩნდა მხოლოდ 1 პროც. პლებისციტში მონაწილეთა.

საფრანგეთი.

„თავისუფალ" საფრანგეთში.

ნაუენი. 17 ივნისი (რადიო). საფრანგეთის მთავრობა ამზადებს კანონპროექტს, რომლის ძალითაც სახელმწიფო მოსამსახურეებს ეკრძალება მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ პროპაგანდაში და წამოაყენონ თავისი კანდიდატურა არჩევნებში, მანამდის, სანამ სამსახურს არ დაანებებენ თავს.

პუანკარესათვის ნდობის გამოცხადება.

ნაუენი. 17 ივნისი. დეპუტატთა პალატამ გამოუცხადა პუანკარეს ნდობა ხმის უმრავლესობით 313 ხმით წინააღმდეგ 234 ხმისა სამხედრო სამსახურის 18 თვით განსაზღვრის საკითხის გამო.

იტალია.

სოციალისტების თანამშრომლობა მთავრობასთან.

ბორდო. 17 ივნისი. იტალიის სოციალისტების უმრავლესობის გადაწყვეტილება მთავრობასთან თანამშრომლობის შესახებ იწვევს საპარლამენტო წრეებში მღელვარებას. მემარჯვენე ნაციონალისტები, ფაშისტები და ლიბერალები წინააღმდეგი არიან ამ თანამშრომლობისა. ხოლო სახალხო პარტია (პოპულისტები), და მემარცხენეები, ჯიოლიტის მიმდევართა გარდა კეთილგანწყობილნი არიან ამ შეთანხმებისადმი.

დემონსტრაცია გერმანიაში.

მოსკოვი. 18 ივნისი. აღმოსავლეთ პრუსიაში, ცერე (გაუგებარია). მოხდა მონარქიული მანიფესტაცია... კომუნისტები სცდილობდენ ამ დემონსტრაციის ჩაშლას. მოხდა შეიარაღებული შეტაკება.

— ბავარიის ყოფ. პრემიერმა მიუნხენში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ის იცავდა მონარქიზმის პრინციპებს. ნაციონალისტური პრესა მიესალმა ამ სიტყვას.

— კენიგსბერგის მუშათა ორგანიზაციები. უმრავლესობის სოციალისტების გამოკლებით მოუწოდებენ მუშებს საპროტესტო დემონსტრაციისაკენ, შეიარაღებულ შეტაკებათა წინააღმდეგ, რომელიც მოხდა კენისბერგში გინდენბურგის ყოფნის დროს.

სამხედრო კონვენცია საფრანგეთ-რუმინიას შორის.

მოსკოვი. 18 ივნისი. ბუქარე ტული გაზეთი „ადევერული" იტყობინება, რომ საფრანგეთ და რუმინიის შორის დადებულია სამხედრო კონვენცია. საფრანგეთის მთავრობა დასთანხმდა გაგზანოს რუმინიაში სამხედრო მასალები.

შანცერის განცხადება

ბორდო. 17 ივნისი. გამოვიდა რა სენატში იტალიის საგარეო პოლიტიკის საკითხის შესახებ, შანცერმა განაცხადა, რომ იტალიას არ აქვს არავითარი იმპერიალისტური ზრახვები და უნდა მხოლოდ და მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განვითარება. ამიტომ არის, რომ იტალია მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ. შანცერი ფიქრობს, რომ მშვიდობიანობის განმტკიცებისათვის, აუცილებელია რუსეთის საერთო ევროპიულ ცხოვრებისაკენ დაბრუნება.

იტალია-რუსეთის ხელშეკრულებისათვის.

რომი. 17 ივნისი. საბჭოთა მთავრობის მიერ იტალიასთან გენუაში დადებულ ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ მიღებულ ცნობების გამო, დამატებით იუწყებიან, რომ სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა არ სცნო შესაძლებლად იმ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, რომელიც დადებული იყო მთავრობის მოწონების ან თანხმობის გარეშე.

იტალია და საფრანგეთი.

რომი. 17 ივნისი. იტალიის ელჩმა პარიზში გადასცა საფრანგეთის მთავრობას იტალიის საპასუხო ნოტა საფრანგეთის მემორანდუმზე. ამ პასუხში იტალიის მთავრობა მხოლოდ აცნობებს საფრანგეთის მთავრობას რომ იგი გაეცნო საფრანგეთის თვალსაზრისს.

იტალია და ალბანეთი.

რომი. 17 ივნისი. რომიდან იტყობინებიან, ალბანეთში მომხდარ ანტი-იტალიურ უწესოებათა შესახებ, განსაკუთრებით დურაცში და სკუტარიში, სადაც ჟანდარმერიამ დაატუსაღა იტალიის ელჩის თარჯიმანი. შანცერმა მიმართა ალბანეთის რწმუნებულს რომში ენერგიულ პროტესტით და დაკმაყოფილების მოთხოვნით.

ინგლისი.

თემთა პალატაში.

კრაუდენი. 17 ივნისი თემთა პალატაში მთავრობა ითხოვს 15 მილ. გირ. სტერლინგის კრედიტის გახსნას სატელეფონო კავშირის განსავითარებლად, ემყარება რა იგი იმ მოთხოვნილებას, რომელიც წამოაყენა თანამედროვე საზოგადოების საქმიანმა ცხოვრებამ. ამ ფაქტიდან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ მოხდა ომამდე არსებული ეკონომიური და კომერციული ცხოვრების აღდგენა.

ირლანდიაში.

კრაურერი 17 ივნისი, ირლანდიის სახელმწიფოს ახალი კონსტიტუციის დამტკიცების გამო „ტაიმსი" აცხადებს, რომ კონსტიტუცია არის თავისუფლების საუკეთესო დოკუმენტიო. ჩრდილოეთ შოტლანდიის გაზეთები ჰკიცხავენ კონსტიტუციას. „ბელფასტ-Hehel-ის აზრით ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ გატარდება კონსტიტუცია ცხოვრებაში.

იცავენ თავისიანებს.

ბორდო. 17 ივნისი,(რადიო). რამზაი და მაკდონალდი პროტესტს აცხადებს ლონდონში მყოფ რუსეთის კომერციული დელეგაციის ნოტის წინააღმდეგ, რომელშიდაც მტკიცდება სოციალისტ-რევოლიუციონერების დანაშაულობა.

ინგლისი.

ინგლისის მუშათა პარტია ემხრობა მოსკოვს.

ბერლინი. როგორც იტყობინებიან „ინდეპენდენს ლაბურ პარტი"-ს ნხტინგამის კონგრესზე უარჰყვეს წინადადება. ამ პარტიის ინგლისის კომუნისტურ პარტიასთან შეერთების შესახებ, მაგრამ გამოიტანეს რეზოლიუცია რომელშიდაც „ლაბურ პარტია" აცხადებს, რომ მიუხედავათ ბოლშევიკების მართვა გამგეობის ზოგიერთ ზომების, მიუღებლობისა, ის სავსებით იწონებს და ნდობას უცხადებს რუსეთის კომუნისტურ პარტიას, მისი ანტიმილიტარისტულ პოლიტიკის წარმოებისა და რეაქციასთან ბრძოლისათვის.

„პეპლის" ცნობების მიხედვით, „ლაბურ პარტი"ს წევრი—2 ინტერნაციონალის მდივანი მაკდონალდი სრულიად უშედეგოთ უმტკიცებდა კონგრესს რომ უკანასკნელს არ მიეღო რუსეთის კომუნისტებისადმი ნდობის და თანაგრძნობის რეზოლიუცია... მიუხედავათ ფიცით მტკიცებისა ბოლშევიკების მიერ ჩადენილ შევიწროებათა და სხვების შესახებ, მაკდონალდმა ვერ შესძლო შეეშალა ხელი კონგრესისათვის რეზოლიუციის მიღებაში, რომელშიდაც გამოთქმულია ნდობა და სიმპატია მოსკოვის ანტი იმპერიალისტურ პოლიტიკისადმი.

ამერიკის მილიარდერები.

ნაუენი. 17 ივნისი, (რადიო). ვაშინგტონის ფინანსიური დეპარტამენტის ოფიციალური ცნობები გვიჩვენებს, რომ ეხლა 34 ამერიკელის ყოველწლიური წმინდა შემოსავალი უდრის 1 მილიარდ დოლარს ოქროთი. ომამდე ასეთი პირები მიიპოებოდნენ 65.

პოლონეთი.

პილსუდსკის განცხადება.

ვარშავა. 8 ივნისი, პარტიის ლიდერების თათბირზე პილსუდსკიმ განაცხადა, რომ მან ახსნა პონიკოვსკის გადადგომა იმ გარემოებით, რომ უკანასკნელის კაბინეთი ვერ სარგებლობდა საზოგადოებაში სათანადო ავტორიტეტით. ამავე დროს პოლონეთი სდგას არჩევნების წინაშე, რომლებიც მით უფრო საშიშია სახელმწიფოსათვის, რომ ისინი ტარდებიან სათანადოთ გამომუშავებულ საზოგადოებრივი აზრის ფონზე საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში.

გავრცელებული ხმები, რომ პილსუდსკი მოითხოვდა სამხედრო კრედიტს და არმიის მობილიზაციას, უკანასკნელმა კატეგორიულად უარჰყო.

იტალია იარაღით ხელში.

რომი. 5 ივნისი. 25 მაისს ფაშისტების მიერ მოწყობილ შეტაკების გამო მუშებთან, იტალიის პალატაში სწარმოებდა ცხარე კამათი. ბომბაჩიმ განაცხადა, სანამ ფაშისტები ძალადობას ადგანან მუშები იძულებული იქნებიან ძალას ძალა დაუპირდაპირონ და სამოქალაქო ომი უფრო გაძწვავდება. ბომბაჩიმ აღნიშნა, რომ მაშინ, როდესაც ფაშისტებს საშუალება აქვთ დაუსჯელათ შეიარაღდნენ, სცემონ და ამოსწყვიტონ მუშები, მაშინ როდესაც მთავრობა სდუმს და უმეტეს შემთხვევაში მხარს უჭერს ფაშისტების ექსცესებს, მუშებს სხვა მფარველობა არა აქვთ, გარდა იარაღით ხელში თავისი საკუთარი ძალით თავდაცვისა.

ინგლის საფრანგეთის ხელშეკრულება.

ლონდონი. 8 ივნისი. პარიზში გრძელდება საკითხის განხილვა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების შესახებ.

ლონდონის პრესაში გამოქვეყნებულია შემდეგი ნახევრად—ოფიციალური ცნობები:

„დიდი ბრიტანეთი არავითარ ინიციატივას არ იღებდა ინგლის-საფრანგეთის ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების განახლების მიზნით. ცხადია ასეთი ხელშეკრულების დადება იქნება ლოღიკური შედეგი ინგლის-საფრანგეთის შორის ჯერ კიდევ ზოგიერთ გამოურკვეველ საკითხების გადაჭრისა".

დიპლომატიური კორესპონდენტი „დეილი გერალდი"-ს ამ საკითხში გულისხმობს რუსეთის და ახლო აღმოსავლეთის გარდა, კიდევ ახლად წარმოშობილ საკითხებს ტანჟერის შესახებ.

მონარქიული ტენდენციები გერმანიაში.

კოსკოვი. 18 ივნისი. ბერლინის სოციალისტური პრესა იძლევა ცნობებს გერმანიაში მონარქიულ გადატრიალების ორგანიზაციის ცდის შესახებ.

„ფრეიხაიტი" იუწყება: „უკვე შედგენილია შავი რაზმები. ჩვენ ვიმყოფებით „ბართლომეს ღამის" წინაშე. ხიფათი აუცილებელია.

უმრავლესობის სოციალისტების ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა მოაწყოს 28 ივნისისათვის საპროტესტო კონტრ-მანიფესტაცია მოსალოდნელ ნაციონალისტურ და სამხედრო დემონსტრაციის წინააღმდეგ.

მანიფესტაცია მიუნხენში.

მოსკოვი: 18 ივნისი. მიუნხენში რამდენიმე ათასმა მანიფესტანტმა მოაწყეს მსვლელობა კავშირთა შორისო მისიის მთავარი ბინის წინ. ისმოდა ხმები: ჩვენ მოვითხოვთ ომს და რევანშს, ძირს ბერლინის ჟიდების მთავრობა.

კომუნისტების გამარჯვება.

მოსკოვი. 18 ივნისი „როტე ფანე" იტყობინება ჰალეში მშრომელთა საბჭოს არჩევნებში კომუნისტების შესახებ.

შორეულ აღმოსავლეთში

მოსკოვი. 18 ივნისი. 15 ივნისს ჩიტადან იტყობინებიან: იაპონიის კაბინეთის სათავეში ჩადგა ადმირალი კატო. ახლად შემდგარ კაბინეთის ერთ-ერთმა წევრმა განუცხადა ჟურნალისტებს: საჩქარო გადაწყვეტა ჩიხში მოქცეულ ციმბირის საკითხისა და იაპონიის ჯარების ევაკუაცია მოახდენს სასურველ შთაბეჭდილებას დიპლომატიურ წრებში. საექსპედიციო არმიის შესანახად გაწეულ ხარჯების შემცირება გაადვილებს იაპონიის მეურნეობას."

— გაზეთი, ნიუ-იორკ „ტაიმსი" მოითხოვს იაპონიის ჯარების ევაკუაციას და სწერს: „ციმბირის საკითხში ყველაზე უფრო მკაფიოდ გამოაშკარავდა ვაშინგტონის კონფერენციის გაკოტრება. ამერიკის მთავრობას სურს, რომ იაპონელებმა დასტოვონ ციმბირი.

— ტოკიოში მოხდა მრავალ რიცხოვანი საპროტესტო მიტინგი შემდგარ ბიუროკრატიულ კაბინეთის წინააღმდეგ, რომლის სათავეში სდგას კატო.

მიტინგზე მიღებული რეზოლიუცია მოითხოვს კაბინეთის შედგენას, ოპოზიციონურ პარტიების წარმომადგენლებისაგან. პრესა აღნიშნავს, რომ უცხო სახელმწიფოები შეხედავენ ახალ კაბინეთს, როგორც სამხედრო ჯგუფების ნების აღმასრულებელს.

— ბრძოლა ვლადივოსტოკის ტახტისათვის მერკულოვების და სემიონოვცებისა ერთის მხრივ და კაპელევცების შორის მეორეს მხრივ გრძელდება.

პოლონეთის კაბინეთის კრიზისი.

მოსკოვი. ვარშავის თეთრგვარდიელთა გაზეთი „ორზაბათი" სწერს: „დროა მთავრობის კრიზისი გათავდეს რადგან მთავრობის უყოლობა უფრო სახიფათოა ვინემ თვით სეიმის მართვა გამგეობა. დროა დამყარდეს ჰარმონია, რომელიც აქამდე არ სუფევდა „სახელმწიფოს მეუფროსების" და სეიმის შორის.

საფრანგეთის განმარტოება.

მოსკოვი. 18 ივნისი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ დღითი დღე იზრდება უკმაყოფილება პუანკარეს პოლიტიკით, რომელიც ამწვავებს საფრანგეთის და უცხო სახელმწიფოების ურთიერთობას.

ეკონომიური ურთიერთობა ავსტრიასა და რუსეთის შორის

მოსკოვი. 18 ივნისი. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წინამძღოლმა, ყოფილმა რეიხს კანცლერმა რენერმა, რომელიც ამ ჟამად უდგია სათავეში ავსტრიის კოოპერატივებს, ინახულა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ვენაში და მასთან ხანგრძლივი საუბრის დროს გამოარკვია მთელი რიგი ღონისძიებათა რუსეთ-ავსტრიის შორის ეკონომიურ ურთიერთობის განსავითარებლად.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

ბანდიტიზმი ახალციხის მაზრაში. ახალციხიდან იტყობინებიან: ბანდიტები ხელახლა ავიწროებენ მაზრას, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებს. ცოტა ხნის წინად ერთი ყაჩაღთა ბრბო, 35 შეიარაღებული ცხენოსანი ყაჩაღები თავს დაესხა სოფ. ერკოთს და გარეკა 60 მდე მსხვილფეხა საქონელი. ამავე დროს საქონლის გასატაცებლად იყო ცდა აგრეთვე სხვა სოფლებშიაც. გამოირკვა, რომ ეს ბრბო შესდგება 200—300 ცხენოსან ყაჩაღთაგან, რომელიც პატარ-პატარა რაზმებად თავს ესხმიან ერთ და იმავე დროს სხვადასხვა პუნქტებში და იტაცებენ მსხვილ ფეხა საქონელს. საზღვარის სიახლოვის გამო ეს ბანდები ჯერ-ჯერობით დაუსჯელად მუშაობენ. მცხოვრებლებმა გარეკეს საქონელი საბალახოებიდან და დაამწყვდიეს სოფლად ფარეხებში. სამაზრო აღმასკომის ენერგიულ ზომებით და სანაპირო ძალების დახმარებით დაცულია რაიონი და მიღებულია ზომები გარეკილ საქონლის დაბრუნებისათვის. მცხოვრებლები თვითშეიარაღებულია, მოეწყო სადარაჯოები და არის იმედი ამ თავდასხმათა ლიკვიდაციისა, რომელსაც ესრეთ დიდი ზიანი მოაქვს გლეხკაცის მეურნეობისათვის.

პროფესიონ. კავშირების კრება. 8 ივნისს ახალციხეში მოხდა პროფკავშირების კრება. დღის წესრიგში იდგა საკითხები: მთლიან მუშათა ფრონტის და გენუის კონფერენციის შესახებ. ორივე მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი.

ესერების გასამართლებისათვის. მოსკოვში ესერების პროცესის დაწყების დღეს, ახალციხეში შესდგა დიდი მიტინგი, რომელმაც გამოიტანა რეზოლიუცია. ეს რეზოლიუცია მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან უსასტიკეს განაჩენს ესერების პარტიისადმი. ამ რეზოლიუციისათვის ხმის მიცემის დროს თავი შეიკავა ერთმა დამსწრეთაგანმა, რომელიც აღმოჩნდა რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი. თავშეკავებულმა განაცხადა თავისი მოტივები და მიიღო ღირსეული პასუხი თავმჯდომარესაგან, რომელსაც მხურვალედ უჭერდა მხარს მთელი ყრილობა.

გლეხების დახმარება დამშეულებს. ახალციხიდან იტყობინებიან: ენერგიულად ჩატარებულმა თესვის კამპანიამ მოგვცა 100 პროც. დათესილ მიწებისა, გლეხები ართმევდენ ბავშვებს უკანასკნელ პურის მარაგს, რათა დაეთესათ ყველა მიწები, მაგრამ ამან გამოიწვია თითქმის ყველგან შიმშილობა. პურის მარაგი გათავდა, ახალ მოსავლამდე ჯერ კიდევ 20 დღეა და ზოგიერთ ღარიბ კუთხეებში 20—30 დღეა, რაც მცხოვრებნი იკვებებიან ბალახით, მცენარეულობის ფესვებით და სხვა სუროგატებით. სამაზრო დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა, ვინაიდან არ ქონდა დამშეულთა დახმარებისათვის საკუთარი რესურსები, პარტიულ ძალების დახმარებით მოაწყო გლეხების თვითდახმარების კამპანია. ამ თვითდახმარების პირველი ნაყოფი უკვე სჩანს აწყურის რაიონში.

აჭარა.

კულტურულ ადგილების იჯარით გაცემა. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა ბათომის განაპირა კულტურულ ადგილების იჯარით გაცემას, რომელიც მას ჰქონდა აღრიცხვაზე აღებული. ახლო მომავალში ადგილობრივათ გაემგზავრება სპეციალური კომისია ამ ადგილების მოიჯარადრეებთან პირობების დასადებათ. საიჯარო ხელშეკრულების პროექტი გადაეცა დასამტკიცებლათ მუშათა და გლეხთა ინსპექციას.

ადგილობრივათ გასაგზავნ კომისიისათვის მუშავდება ინსტრუქციები. იჯარით გაცემას საბოლოოთ დაამტკიცებას მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგია.

ჩაქვის ტყეები. აჭარის სამიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ გამოააშკარავა ფაქტები, ჩაქვის ტყეების თავის ნებით გაჩეხვისა, რომელსაც ჩადის ადგილობრივ ფუხარა ხალხის კომიტეტები.

გადასწყვიტეს გაურკვიონ ფუხარა ხალხის კომიტეტის წევრებს, რომ ტყეების თვითნებური გაჩეხა სახელმწიფოს მოუტანს ზარალს და მისცენ წინადადება ჩაქვის სახელმწიფო მამულების გამგის დაუკითხავათ არ აწარმოვონ შემდეგი გაჩეხა.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სატყეო განყოფილების გამგეს მიენდო გაემგზავროს ჩაქვის სამეურნიო განყოფილების დასათვალიერებლათ, გაეცნოს ადგილობრივათ ჩაქვის ტყეების დაცვის და ექსპლოატაციის მდგომარეობას და წარუდგინოს კოლეგიას თავისი მოსაზრებები ამ საკითხის შესახებ.

კოლექტიური ხელშეკრულებანი შრომის სახალხო კომისარიატმა დაამტკიცა შემდეგი კოლექტიური ხელშეკრულებანი, რომლებიც დასდეს მუშებმა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში: „მაის"-ის ქარხნის მუშებმა მოიჯარადრე ლანდერთან, 2 საბჭოთა ქარხანასთან, მბეჭდავეებმა ბათომის სახელმწიფო გამომცემლობასთან, საექიმო სანიტარო მუშაკთა კავშირის წევრებმა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის წამლეულობის განყოფილებასთან, მბეჭდავებმა პოლიგრაფიულ განყოფილებასთან, 1 და 2 სადგურების მოსამსახურეებმა კომუნალურ მეურნეობის განყოფილებასთან, [illegible] კავშირის მოსამ[illegible]ბის, წისქვილების, ლიმონათის ქარხნების, ერბოს სახელოსნოების, საკონდიტროების და შინა მრეწველობის სახელოსნოების მეპატრონეებთან.

აჭარის წყალი. აჭარის წყალი გასაბჭოებამდე წარმოადგენდა ერთ თემს, რომელსაც სათავეში ედგა 1 მამასახლისი და 33 „მუხტარები". ეხლა თემს ეწოდა მაზრა, სადაც მსახურობენ 33 „მუხტარები", სასოფლო ფუხარა ხალხის კომიტეტების 81 წევრი, 15 თემის აღმასკომის წევრები, მიწის ფუხარა კომიტეტის 9 წევრი, და 3 უფროსი მილიციონერი.

თემში სამაზრო აღმასკომი შესდგება 5 წევრისაგან, სამაზრო ფუხარა კომიტეტი 3 წევრისაგან, არის მილიციის უფროსი, სახალხო სასამართლო, გარნიზონის უფროსი, ოფიცრები და საგანგებო საგუშაგო. მცხოვრებლები წარმოადგენენ 4,773 სულს ესე იგი 700 კომლს, რომელსაც განაგებს 163 უფროსი პირები.

აჭარის-წყალის მაზრაში ფუხარა ხალხის კომიტეტების ხელახლი არჩევნები ნაყოფიერად ჩატარდა.

არჩეულია 27 კომიტეტი, 3 თემის და 1 სამაზრო თემის და სამაზრო კომიტეტებში პასუხის მგებელ მდივნებათ არჩეულია კომპარტიის წევრები. ამ დღეებში გაიხსნა წიგნთსაცავ სამკითხველო და შეუდგნენ დაწყებულ თეატრის აშენებას. პარტიული მუშაობა შედარებით სწარმოებს სუსტათ.

ბათომში.

ქალაქის საბჭოში. ბათომის ქალაქის საბჭოს პლენუმმა მოისმინა, რა მოხსენება ამხ. ეშბასი, ესერების გასამართლების შესახებ, გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვს, პროლეტარიატის მოსისხლე მტრების ესერების წინააღმდეგ სასტიკი სასჯელის მიღებას; დამცველები და ბრალდებულები უნდა ისხდენ ერთ ბრალდებულთა სკამზე, მსოფლიო პროლეტარიატის სასამართლოს წინაშე.

აჭარის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარემ, რომელსაც ეჭირა ეს თანამდებობა 2 თვის განმავლობაში, გააკეთა მოხსენება იმ უნუგეშო სურათის შესახებ, რომელსაც წარმოადგენდა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო. საანგარიშო წიგნები იყო მიტოვებული უყურადღებოთ და ანგარიში არ სწარმოებდა სისწორით. ნავარაუდევი იყო 1922 წლისათვის წმინდა შემოსავალი 900.000 მან. ოქროთი და ეს იმ დროს, როდესაც დიდძალი ვალი ემართა საბჭოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსი, ნავთის პროდუქტებისათვის აღებული, და აგრეთვე იმგვარი სისტემის არსებობის დროს, როდესაც მოსამსახურეთათვის ანგარიშის გასწორება ხდებოდა გაცემულ წარმოებათა შემოსულ იჯარის ანგარიშში. საჭირო იყო შეცვლილიყო ზოგიერთ განყოფილებათა კონსტრუქცია და დანიშნულიყო საგანგებო სარევიზიო კომისია, რომელმაც აღმოაჩინა მრავალი დეფექტები და ბოროტ მოქმედებანი. დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი რევტრიბუნალის წინაშე. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს ხელშია ექსპლოატაცია შემდეგი ქარხნებისა: პირველი საბჭოთა ქარხანა (ცინკის წარმ.) ამზადებს ვედროებს, ჭურჭელს და სხვ. ეწყობა წარმოება მოცინკულ კრამიტისა, საერთოდ წარმოება ვითარდება, ქარხანა თავის ხარჯებს თვითვე ფარავს. 2-ე საბჭოთა ქარხანა (თუჯის ჩამოსხ.), ყოფილი კაპლანისა, მთელ ამიერკავკასიაში პირველი ქარხანაა თავისი მოწყობილებათა ღირებულების მხრივ. საქმის ცუდად დაყენების გამო არ იძლევა მოსალოდნელ შემოსავალს. მე-3 საბჭოთა ქარხანა ყოფ. პიტოევისა—მექანიკური, აწარმოებს ავტომობილების რემონტს და მის ნაწილების აწყობას. რემონტს უშვებიან სატრანსპორტო და საზიდ საშუალებათ, შემოსავალი მთლიანად ხმარდება მუშათა ხელფასს. არისტენკოს ყოფ. ქარხანა: თანდათან ეწყობა ხე ტყის მასალათა დახერხვა, შეძენილია მასალა—ნიგვზის ხეები, სწარმოებს ფანერების დაჭრა, არის უკვე აღრინდელი დამზადებული 100 ფურცელი ფანერი. ქიმიური ქარხანა ყოფ. ბერგმანისა და კარპოვსკისა, დახურულია, ვინაიდან ბაზრის პირობების გამო ახალს არაფერს აწარმოებდა და მთელი შტატი ინახებოდა წინანდელ დამზადებულ ფაბრიკატების გაყიდვის ხარჯზე. პოლიგრაფიული განყოფილება, რომელიც შეიცავს ყველა ტიპოგრაფიებს, შემოსავალს არ იძლევა, მხოლოდ თვით აკმაყოფილებს მუშათა ხელფასს, ტიპოგრაფიების განზრახულ კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ, მოსალოდნელია პოლიგრაფიულ განყოფილების შემოსავლის გადიდება. სატყეო კომიტეტი აწარმოებს ხე-ტყის მასალის დამზადებას სამეურნეო საშუალებებით და კონტრაგენტების საშუალებით.

ეს მუშაობა, როგორც წარსულში ისე ამ ჟამად ინტენსიურად სწარმოებს. სავაჭრო განყოფილებას აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისი მაღაზია, მუშაობა მთლად ეხლა ეწყობა. ტყავეულობის სექცია იღებს შემოსავალს ტყავეულობის ქარხნებიდან, რომელიც გაცემულია იჯარით, აქვს საკუთარი სახელოსნო, რომელიც იძლევა შემოსავალს. თამბაქოს სექცია: თამბაქოს ქარხნების წარმოება არ არის დიდი; განზრახულია ქარხნების გაერთიანება. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ გაცემულია იჯარით შემდეგი წარმოებანი: 2 ტყავეულების ქარხანა, ყოფ. ივანიანცისა და ფირცხალავა და შარაშენიძისა, რომელიც იძლევა ნაწარმოების 20 პროც. ს წარმოების მინიმუმი ცალკეა აღნიშნული. ბიდონის ქარხანა, ყოფ. „მარსი" იძლევა 1 ნაპ. პიასტრას, თვითეულ დამზადებელ ბიდონისათვის, მინიმუმი აღნიშნულია 800 ბიდონამდე დღე და ღამეში. ბიდონის ქარხანა ყოფ. „ბალტიკ"-სი, იმავე პირობებში 1,100 ბიდონი მინიმუმით. მესამე საბჭოთა ქარხანა ბენდუქიძისა და დაუშიძისა იგივე პირობებშია—400 ბიდონით. ორი ყინულის ქარხანა 4,200 მანეთად ოქროთი წელიწადში და 25 კაპ. ოქროთ. ფუთ ყინულზე. მინიმალური დამზადება წლიურად 30,000 ფუთია. ბოჭკების ქარხანა, ყოფ. გაი, 400 ლირათ თვეში, გარდა ამისა ყოველ დამზადებულ ბოჭკაში ნახ. ლირა და 12 პროც. ნატურით ქარხანაში ხეტყის მასალის დახერხვისათვის.

ბათუმის ნავთსადგურში 7 ივნისს კონსტანტინეპოლიდან მოვიდა იტალიის ფლაგით გემი „სპარსეთი" 50.000 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით და გემი „სარდინია" 599 ფ. სხვა და სხვა საქონლით. ფოთიდან, რიზედან, ტრაპიზონიდან და სურმეთიდან მოვიდა ოსმალეთის ფლაგით 6 ფილიუგა უმნიშვნელო ტვირთით და კატერი „ჭოროხი" საბჭოთა საქართველოს ფლაგით.

8 ივნისს მოვიდა: კონსტანტინოპოლიდან ინგლისის ფლაგით გემი „გარველ პარკი" დატვირთული 56.650 ფუთი სხვა და სხვა საქონლით, სოხუმიდან გემი „ბონი მარი", უტვირთოთ, იაპონიის ფლაგით; ოდესიდან „იგნატი სერგეევი" დატვირთული 1759 ფუთი სხვა და სხვა საქონლით და 250 მგზავრით; ქერჩიდან, სოხუმიდან და რიზედან 4 იალქნიანი—მატორიანი ნავი 50 მგზავრით უტვირთოდ... გავიდნენ ზღვაში: 7 ივნისს კონსტანტინოპოლში გემი „ჯორჯა" იტალიის ფლაგით 50 ტონი ტვირთით და 50 მგზავრით, ნოვოროსისკში საბჭოთა რუსეთის ფლაგით „ინტერნაციონალი" უტვირთოთ. 8 ივნისს—კონსტანტინოპოლში გემი „სარდინია" იტალიის ფლაგით უტვირთოთ; ტრაპიზონ-ზუნგულდაკში, ნოვოროსისკში, ანაკლიაში და ფოთში 9 იალქნიან-მოტორიანი ნავი, 2 მგზავრით და 1865 ფუთი სხვა და სხვა საქონლით.

„ობლავების" შედეგი: ქალაქში მომხდარ მთელ რიგ „ობლავების", შემდეგ, რომელიც მოაწყო სისხლის სამართლის ძიებამ, და აგრეთვე შეპყრობათა და რესპუბლიკის საზღვრებიდან არა კეთილ საიმედო ელემენტებისა და შემჩნეულ ქურდ რეციდივისტების გადასახლების შემდეგ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ბათუმში შეჩნეულია ერთბაში დაკლება ქურდობის შემთხვევებისა. ამ ხნის განმავლობაში სისხლის სამართლის ძიების მიერ ჩაწერილია სულ 3 ბოროტმოქმედება.

გემი „აჭარისტანი". დაკავებულ გემს „თავრიზს" რომელიც აქამდე დადიოდა სპარსული ფლაგით და გადაეცა რ. ს. ფ. ს. რ. უწოდეს „აჭარისტანი". შავი ზღვის ოლქის ბათუმის საზღვაო სააგენტოს უფროსისადმი გადაცემის აქტის დროს „თავრიზიდან" სპარსეთის მდივნის მიერ ჩამოხსნილ იქნა სპარსული ფლაგი. ამ რიგად „პოლონიის" საკვესტრის შემდეგ საბჭოთა სავაჭრო ფლოტი გადიდებულ იქნა ერთი ერთეულით, 35000 ფუთი ტვირთმზიდველობისა. 9 ივნისს ფეოდოსიიდან მოვიდა გემი „ბუგ"-ი უტვირთოდ რ. ს. ფ. ს. რ.-ის ფლაგით, 8 მგზავრით; სოხუმიდან მოტორი „ორიოლ" ტვირთის უმნიშვნელო რაოდენობით. 10 ივნისს შავი ზღვის ნაპირებიდან მოვიდა 1 მატორი და 4 ხომალდი საბჭ. ფლაგით, 17 მგზავრით და 50 ფუთი ტვირთით. 11 ივნისს კონსტანტინოპოლიდან მოვიდა გემი „რემო" იტალიის ფლაგით 30,000 ფუთი სხვადასხვა ტვირთით. სევასტოპოლიდან რ. ს. ფ. ს. რ. ფლაგით მოვიდა გემი „დუნაი" 42.000 ფუთი მარილით და 10 მგზავრით. იტალიიდან იტალიის ფლაგით მოვიდა გემი „ნიკოლო ტომაზო": რიზედან, ანაკლიდან, ხოფიდან და სოხუმიდან მოვიდა: 3 ოსმალური ხომალდი და ერთი რუსული 886 ფუთი სხვადასხვა ტვირთით და 7 მგზავრით. 9 ივნისს გავიდა ზღვაში: კონსტანტინოპოლის გემი „ბონი მარი" იაპონიის ფლაგით უტვირთოდ ოჩემჩირს, კერჩში, სოხუმში და ათონში გავიდა 8 იალქნიანი გემი და მოტორი ოსმალეთის და რუსეთის ფლაგებით, 20 მგზავრით და სხვა და სხვა ტვირთის მცირე რაოდენობით.

10 ივნისს სოხუმში გავიდა 2 მოტორი „ვენეცია" და „მოსკოვი" რ. ს. ფ. ს. რ. ფლაგით 170 ფუთი სხვა და სხვა ტვირთით. 11 ივნისს ოდესისკენ გავიდა გემი „იგნატიი სერგეევი" 9113 ფუთი სხვადასხვა ტვირთით და 200 მგზავრით. შავი ზღვის ნავთსადგურებში გავიდა 5 ხომალდი საბჭოთა ფლაგით 140 ფუთი ტვირთით, და 2 მატორი 280 ფუთი ტვირთით და ერთ მგზავრით.

აზერბეიჯანი.

ნავთის ფრონტზე. 7 ივნისს ყველა ადგილებზე ამოღებულია 495,000 ფუთი ნავთი: აღებულია გადასაქაჩავად 6 და 7 ივნისისათვის 687,000 ფუთი. მიღებულია გადმოქაჩვისაგან 679,000 ფუთი. გაწმენდილია 52,000. გატანილია რკინის გზით 7 ივნისისათვის 67,000 ფუთი. ივნისის დასაწყისიდან სულ გატანილია 286,000 ფუთი. 8 ივნისს გატანილია ასტრახანში ნავთის მუქი პროდუქტები 572,000 ფუთი. წმინდა 133,376 ფუთი. პეტროვსკიდან კრასნოვოდსკში მუქი 305,000 ფუთი. პეტროვსკიდან ასტრახანში მუქი 184,487 ფუთი.

9 ივნისისათვის გატანილია ასტრახანში მუქი 1,141,556 ფუთი, წმინდა 55,057 ფუთი. პეტროვსკიდან კრასნოვოდსკში მუქი 107,972 ფ. პეტროვსკიდან ასტრახანში 79,664 ფუთი. 1 ივნისისათვის ასტრახანში გატანილია მუქი 183,988 და წმინდა პროდუქტები 205,548 ფუთი.

მილიარდის შემოწირულება. 15 ივნისს ა. ს. ს. რ. ავტოტრანსპორტის მუშების რიცხვით 470 კაცის საერთო სხდომაზე დაადგინეს: გადასდონ ვოლგის მხარის დამშეულთა სასარგებლოდ ივნისის ძირითადი ჯამაგირის 25 პროც., რაც შეადგენს დაახლოვებით გამოანგარიშებით ერთინახევარ მილიარდ მანეთს. კრებამ მიიღო რა მხედველობაში ფულის ნიშნების კურსის დაცემა, დაადგინა აღნიშნული თანხა დაუყოვნებლივ გადაეცეს დამშეულთა დახმარების ბაქოს კომიტეტს. შემდეგში გადაირიცხება ყოველ მუშის ჯამაგირიდან თითო დღის ხელფასი თვეში, რაც შეადგენს დაახლოვებით 400 მილიონს თვეში. ავტორიტეტის მმართველობა ორკვირეულის განმავლობაში გადარიცხავს ერთი დღის ხელფასს 800 მილიონამდე მანეთს.

კალია. 5 მაისიდან ტაუსის მაზრის 1 უბანში გაჩნდა კალია. მიღებულ იქმნა ზომები მის გასანადგურებლად. 10 მაისს გაჩნდა კალია სამ უბანში უკანასკნელ დროს 25 მაისს აღნიშნულ რაიონებში კალია გაძლიერდა. საჭიროა საშუალებები მასთან საბრძოლველად.

სომხეთი.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე. სომხეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით სომხეთის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ლუკაშინი.

კომპარტიის კომიტეტები. (რადიო). შესდგა პირველი სხდომა სომხეთის კომპარტიის ერევანის კომიტეტის ახალი შემადგენლობისა. კომიტეტის პასუხის მგებელ მდივნად არჩეულია ამხ. ტერ-სიმონიანცი.

დახმარება სომხეთს. (რადიო). სომხეთის დახმარების კომიტეტის სახელზე, სტამბოლიდან გამოგზავნილია 30 ვაგონი ფქვილი, რომელიც მოვიდა უკვე ბათომში.

ალექსანდროპოლის მაზრაში. (რადიო). ის პასუხისმგებელი ამხანაგები, რომლებმაც დაათვალიერეს მაზრა, იუწყებიან: მაზრის გლეხობამ დასთესა უკანასკნელი მარცვალი, და ეხლა სავსებით ყველა, როგორც შეძლებული ისე ღარიბნი სხედან უპუროდ და იკვებებიან ბალახით. მინდვრები კარგია, უმეტესად, რომელიც ხელოვნურად ირწყვება. გლეხობა დიდ ღონისძიებას ხმარობს, რომ შესწიროს ყველა თავის ძალღონე აღმშენებლობას, მაგრამ ამას აბრკოლებს ის რომ მოსახლეობა დაღლილია. კერძოდ ისინი დიდს ინტერესს იჩენენ საგარეო პოლიტიკისადმი. დამახასიათებელია სასუნის ერთ მოხუც ლტოლვილის განცხადება: „სანამ არსებობენ მეფენი, მათი იმედი არ უნდა გვქონდეს". სასუნელები, რომელნიც მოსახლეობენ მაზრის ექვს უბანში, გამოჩენილი არიან თავის მტკიცე საზოგადოებრივი მჭიდროებით, რაც არ ემჩნევა სხვა უბნებს.

ლტოლვილები ბრუნდებიან. აზერბეიჯანის დამშეულთა დახმარების ცენტრალური კომიტეტი ტელეგრაფით აცნობებს სომხეთის დახმარების კომიტეტს რომ ბაქოს გზით ამიერ-კავკასიაში რუსეთიდან იწყო დაბრუნება სომეხ ლტოლვილების დიდ პარტიებმა. მათი მდგომარეობა ძლიერ ცუდია. საჭიროა სასწრაფო დახმარება.

ამიერ-კავკასიის რკინის გზები

(თათბირი რკინის გზის საკითხის შესახებ საკავშირო საბჭოში).

14 ივნისს ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საბჭოში ამხ. მიასნიკოვის თავმჯდომარეობით გაიმართა ფართო თათბირი რკინის გზის საკითხის შესახებ.

მოხსენება ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსის ამხ. შუშკოვისა.

ამხ. შუშკოვი აღნიშნავს, რომ იანვრიდან დაწყებული, ამიერ-კავკასიის გზებზე მოძრავი შემადგენლობა მნიშვნელოვანად შემცირდა. მუშა ორთქლმავლების რიცხვი შემცირდა, მაგრამ სამაგიეროთ მუშა ვაგონების რიცხვი გაიზარდა, განსაკუთრებით სათესლე მასალით დატვირთული მატარებლების ჩამოსვლით. გაიზარდა აგრეთვე ვაგონების დატვირთვა და ცისტერნების ავსება მაისის განმავლობაში ვაგონების დღე ღამის გარბენის სისწრაფე უდრის 82 ვერსს, მაშინ როდესაც 1914 წელში ვაგონების გარბენის სისწრაფე დღე-ღამის განმავლობაში უდრიდა 79 ვერსს. ორთქლმავლებზე მზრუნველობისათვის მატარებლებში შემცირებულ იქმნა ვაგონების რიცხვი და ამიტომ საგრძნობლად გაუმჯობესდა მიმოსვლა და გარბენაც.

შემცირდა აგრეთვე სამგზავრო მატარებლების დაგვიანებაც, ასე მაგალითად იანვარში დაგვიანება უდრიდა 103 წამს, ხოლო მაისში კი მხოლოდ 14 მდე ცოტადი სხვა გვარია მდგომარეობა მოძრაობის სამსახურისა. აქ ადგილი თუ აქვს გაუმჯობესებას, ეს ძლიერ უმნიშვნელოა. ორთქლმავლები, ძველია და მათი გამოყენება, აღარ შეიძლება. და თუ ამ გვარადვე დარჩა მდგომარეობა, მაშინ რკინის გზა ჩაკვდება. გზათა სახალხო კომისრის ჩამოსვლისას, საჭიროა დავსვათ საკითხი ელექტროფიკაციისა და პატარა ხაზების შემცირების შესახებ. და თუ ეს ზომები არ იქნება მიღებული, მაშინ საჭიროა ახალი ორთქლმავლების შეკვეთა. სარემონტო პროგრამის შესრულებაში ჩვენ წარმატებას ვხედავთ, მაგრამ დავალებულ ნორმის შესრულება მაინც შეუძლებელია.

ბაქოს ხაზის გამოყენება ამ ბოლო დროს ძალიან გაიზარდა, მაგრამ სამაგიეროთ ბაქოს სახელოსნოებში სავსებით საწინააღმდეგო სურათს ვხედავთ.

სათბობი მასალის ხარჯი გამოანგარიშებულზე უფრო ცოტა აღმოჩნდა, რაც ერთგვარ ეკონომიას წარმოადგენს. ძალიან საგრძნობია ხეტყის მასალის ნაკლებობა, მაგრამ იგი ახლა თითქმის არ არსებობს.

ძალიან მწვავედ სდგას საკითხი ცეცხლის გაჩენის შესახებ. მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში შევძელით შეგვეყიდა რამოდენიმე ცეცხლის საქრობი ხელსაწყოები.

რაც შეეხება შპალებს, უნდა ითქვას, რომ იგი თითქმის მთელ გზაზე უვარგისია. არ ვიცით, ამ ახლო ხანებში შევიძენთ თუ არა საჭირო რიცხვს მისას.

განზრახულია ამ ახლო მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რკინის გზის შენობების შეკეთებას. ეს სამუშაო შეიძლება შესრულებულ იქნეს მხოლოდ ყველა ძალების დაჭიმვითა და მასთან არა პატარა ვადაში.

რაც შეეხება სამნეო ნაწილს, გზათა მმართველობა, რკინის გზებისათვის საჭირო მასალის აუცილებელ რიცხვს იღებდა ცენტრიდან და სხვა სამეურნეო ორგანოებიდან. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამო, შეიცვალა მასალეპის მიღების ხასიათიც: ახლა ყველაფერს ნაღდი ფული სჭირდება. წარმოიშვა საჭიროება მთელ რიგ დაწესებულებათა მოწყობისა, ყველა რკინის გზისათვის საჭირო შეკეთების შესასრულებლად, მაგრამ ცენტრის დახმარება მაინც დაგვჭირდება.

ძალიან დიდი საკითხია მალიარიასთან ბრძოლა: საკუთარი ძალღონითა და საშუალებებით, სამმართველო ვერ შესძლებს ამ უბედურებსსთან ბრძოლას. მედიკამენტების შესყიდვას დიდი ხარჯები სჭირდება,

გზას სხვა და სხვა წყაროებიდან აქვს შემოსავალი: ბუფეტების იჯარით გაცემა, ქალაქის სადგური და სხვ. ზომებია მიღებული საქონლის გადაზიდვისა და დაცვის პირობების გაუმჯობესობისათვის. თებერვალში იყო 125 შემთხვევა საქონლის დაკარგვისა. ამ ჟამად კი იგი საგრძნობლად შემცირდა და მაისში იყო მხოლოდ 46 შემთხვევა.

ძალიან მწვავეთ სდგას საქონლის გადაზიდვის ტარიფის საკითხი. წინად რკინის გზაზე მიმოდიოდა 15 წყვილი ორთქლმავლებისა, ახლა კი მხოლოდ 3 წყვილია, ხოლო აქედან 50 პროც. უფასოთ საქონლის გადაზიდვა ხდება.

რკინის გზას, როგორც დამოუკიდებელ წარმოებას არ შეუძლია არსებობა, თუ უფასოდ გადაზიდვა იარსებებს, მაგრამ ამ კითხვაში სატრანსპორტო საზოგადოებათ უხთებად შეხლა-შემოხლა მთელ რიგ სამეურნეო ორგანოებთან.

5 მაისისთვის, ჩვენ გვქონდა ყოველთვიური შემოსავალი 492 ათასი მანეთი ოქროთი, ახლა კი, საკავშირო საბჭოს დადგენილების შემდეგ, ჩვენი შემოსავალი უდრის 679 ათას მანეთს ოქროთი, ჩვენი გამოანგარიშების მიხედვით, მარტის განმავლობაში უნდა გვქონოდა დეფიციტი და მაისისათვის იგი მიაღწევდა საოცარ ციფირს. ჩვენ იძულებული ვიყავით საამისო. სათანადო ზომები მიგვეღო სხვა და სხვა სახის წარმოებათა შექმნითა და განსაკუთრებით კი სამმართველოსთან სავაჭრო განყოფილების დაარსებით, რომელმაც მართლადაც და მნიშვნელოვანად შეგვიმსუბუქა მდგომარეობა. ახლა ჩვენ მოგება გვაქვს 1.500 მილიონი მანეთის. მარტის შემდეგ სამმართველოს გაუხსნეს კრედიტი 172 მილ. მანეთისა ქართული ბონებით, 509 მილ. მანეთისა სომხური ბონებითა, 970 მილიონი მანეთის აზერბეიჯანის ბონებითა და 22 მილიარდი მანეთისა რუსული ფულის ნიშნებით, მაგრამ ამ კრედიტების დიდი ნაწილი არ არის უზრუნველყოფილი, და ჩვენ ამ საქმეში დავალიანება გვაქვს.

უკანასკნელ სიტყვაში ამხ. შუშკოვი უპასუხებდა რა მიცემულ შეკითხვებზე, აღნიშნა, რომ განსხვავება ტარიფებს შორის ამ ჟამად ისეთი მნიშვნელოვანი არ არის, როგორც ეს იყო მარტში. უფასო გადაზიდვაც შემცირდა დაახლოვებით 79 პროც. 40 პროცენტამდე.

ორთქლმავლების პარკი შემცირდა 72 ათასი ვაგონით. წინეთ ჩვენ გვქონდა არა ნორმალი შეთანაზრება ორთქლმავლებისა და ვაგონების შორის. ახლა კი მარაგში გვყავს ათას ვაგონზე მეტი, რომელიც შეიძლება პირველ მოთხოვნილებისათანავე ავამუშავოთ და რკინის გზას არ დასჭირდება მისთვის ხარჯების გაწევია.

ბაქოს სახელოსნოების მიერ დავალებულ სამუშევრის შეუსრულებლობა დამოკიდებულია სამუშაო ხელფასის სიმცირეზე, შედარებით სხვა წარმოებათა ხელფასისა. ამ საკითხის გადაჭრას სამმართველო შეძლებდა თუ გაუმჯობესებულ იქნებოდა საფინანსო მდგომარეობა

გაცხოველებული კამათის შემდეგ თათბირმა დაადგინა:

1. ამორჩეულ იქნეს საფონდო კომისია სატარიფო განაწევრის გამოსარკვევად, რომელიც გადაეცეს მუშათა ფინანსიური მარაგის საკითხების გადასამუშავებლად; კომისია შესდგება 3 კაცისაგან—რკინის გზის სამმართველოს, საკავშირო საბჭოს და ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან. 2. საკითხი. ტყიბულის ქვანახშირის ორთქლმავლების გასათბობად გამოყენებისა, გადაეცეს რკინის გზის სამმართველოს განსახილველად; 3. ამორჩეულ იქნეს 5 კაცისაგან შემდგარი კომისია გადაზიდვის ტარიფების შესამუშავებლად; თითო-თითო წარმომადგენელი მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებისაგან. 1—რკინის გზის სამმართველოსგან და 1—საკავშირო საბჭოსაგან. ამავე კომისიას ევალება მატარებლების მიმოსვლისა და უფასო ვაგონების საკითხის გარჩევა. 4. წინადადება მიეცეს რკინის გზის სამმართველოს ყველა მატარებელს მიაბას ერთი საფოსტო ვაგონი ამიერ-კავკასიის ყველა გზებზე.

ვაჭრობა სპარსეთთან

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებთან პოლიტიკურ და სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ, თბილისში მყოფი სპარსეთის საგანგებო ელჩი მოტა ზოლ-დოვლე, რამოდენიმე თავის თანამშრომლების თანხლებით გაემგზავრა ანგორაში. თბილისში საგანგებო მისიის ნაწილთან ერთად დარჩა სპარსეთის ვაჭრობის წარმომადგენელი კავკასიაში კაზვინი, რომელიც თეირანიდან ელოდება ახალ ინსტრუქციებს.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს კაზვინიმ გამოსთქვა შემდეგი მოსაზრებანი:

„სამწუხაროთ,—განაცხადა კაზვინიმ,—უკანასკნელ წლებში სპარსეთ-რუსეთის ვაჭრობა დაეცა. ორთავე მხარე ყოველგვარ სერიოზულ ზომებს ხმარობს, რათა აღდგენილ იქნეს რუსეთ-სპარსეთის ვაჭრობა წინანდელი მასშტაბით. ამას გვიკარნახებს მატერიალური, კულტურული და პოლიტიკური ინტერესები ერთი მხრით სპარსეთის და მეორე მხრით საბჭოთა რუსეთის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების. ჩრდილოეთ მეზობლებთან ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის უქონლობის გამო, სპარსეთის ბაზრები ამ ჟამად ავსებულია დასავლეთ ევროპის, უმთავრესად ინგლისის საქონლით, რომელიც შედის სპარსეთში სამი გზით: ტრაპიზონის, ბაღდადი ქერმანშახის და ბუშირფარსით.

ეს გზები დიდი გრძელია, მიხვეულ-მოხვეული, ძნელი და ძვირი, მაგრამ რა უნდა ვქნათ, როდესაც, სამწუხაროთ სხვა გაცილებით უფრო ხელსაყრელი სავაჭრო გზები, სპარსეთის ჯულფის, ენზელის და კასპიის ზღვის დანარჩენ ნავთსადგურების საშუალებით ჯერხნობით დაკეტილია და შეუძლებელია ასეთი ხელსაყრელი მდგომარეობის გამოყენება.

მანამ, სანამ რუსეთის ფაბრიკები დაიწყებდეს ხელახლად ნორმალურ მუშაობას და ძველებურად შეუწყობდეს ხელს სპარსეთის მომარაგებას თავისი ნაწარმოებით, სპარსეთს, დასავლეთ ევროპის საქონლით მისი რაციონალურად მომარაგების შემდეგ, საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კომისარიატის კონტროლთან ერთად შეეძლო დიდი სარგებლობა მოეტანა ამ უკანასკნელისათვის და მოექცია მის ხელში ვაჭრობის მთელი ინიციატივა სპარსეთში.

ომამდე მოსკოვში, ბაქოში ტფილისში და სხვა სავაჭრო ცენტრებში ბლომად მოიპოებოდნენ სპარსეთის კომერსანტები. ისინი იყვნენ გამოცდილი შუაავლები, მათი მოღვაწეობა ძვირი არ ჯდებოდა და ნაყოფიერათ უწევდნენ კონკურენციას დასავლეთ-ევროპის იმპორტიორებს. შედეგი ის იყო, რომ რუსეთის საქონელმა დასცა ევროპის საქონლის მოთხოვნილება სამხრეთ-სპარსეთშიაც და ქერმანშახი, ბუშირი და სხვა ქალაქები აივსო საქონლით. ეხლა, სამწუხაროთ ვხედავთ საწინააღმდეგო მოვლენას: დასავლეთ-ევროპის საქონელი აღწევს ჩრდილოეთ-სპარსეთის უკიდურეს პუნქტებს. რუსეთ-სპარსეთის ეკონომიურ ურთიერთობის ძველი სახით აღდგენისათვის საჭიროა სპარსეთის კომერსანტებს მიეცეს განსაზღვრული თანამშრომლობა ექსპორტში და იმპორტში.

რამდენად ადრე იქნება გადადგმული ნაბიჯი ამ მიმართულებით, მით უფრო ადრე იქნება აღდგენილი და განვითარებული სავაჭრო ურთიერთობა ჩრდილოეთის მეზობლებთან, რომლებიც სპარსეთში მოიპოვებენ ხელახლა წინანდელ სავაჭრო მნიშვნელობას.

ამ ჟამად სპარსეთში მოიპოვება დიდ-ძალი ბრინჯი, ქიშმიში, გამხმარი ხილები, ნუში, კაკალი, ოპიუმი, მატყლი ქონი ტეხნიკური საჭიროებისათვის, ტყავები, მსხვილ ფეხა პირუტყვი, ხალიჩები და სხვა საექსპორტო საქონელი. ეს საქონელი ესაჭიროება ჩვენ მეგობარ საბჭოთა რესპუბლიკებს, როგორც თავის საჭიროებისათვის, ისე საზღვარ-გარეთ გასატანათ აქედან ჩვენ გავზიდავთ სპარსეთში, როგორც უწინ: ნავთს, შაქარს, ჩაის, ყოველგვარ მანუფაქტურას, შუშეულობას, რკინეულობას, კანცელარიის საჭირო ნივთებს, ასანთს, ფეხსაცმელებს, შეკერილ ტანთსაცმელებს და სხვ.

საგარეო ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატის „ბიულეტენი" ერთი თვის უკან აქვეყნებდა, რომ გასულ აპრილში სპარსეთმა აღადგინა რუსეთისათვის 1903 წლის შეღავათიანი საბაჟო ტარიფი. მოსკოვში მისული სავაჭრო დელეგაცია, ტაგი-ზადეს მეთაურობით, და აგრეთვე ჩვენი მისია ტფილისში ახლო მომავალში გამოიმუშავებენ სავაჭრო-ეკონომიურ ხელშეკრულებებს ჩრდილოეთის მეგობრულ რესპუბლიკებთან. მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ ახლო მომავალში იქნება აღდგენილი ვაჭრობა ჩვენს მეზობლებთან ძველებურათ.

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში.

ზომები ნავთის პროდუქტების გაძვირების წინააღმდეგ.

იმის გამო, რომ ერთბაშად ორი აქციზის შემოღების შემდეგ (საბჭ. რუსეთის და აზერბეიჯანის რესპ.) და აგრეთვე ოქროს მანეთის კურსის 20 პროც გადიდების გამო, სანავთო პროდუქტების ფასები თითქმის ორჯერ გაიზარდა, საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ აღძრა შუამდგომლობა სამართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე, ამის საწინაღმდეგო ზომების მიღებისა და საქართველოში სანავთო პროდუქტებზე განზრახულ აქციზის დადების შეჩერების შესახებ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოხსენება, რომელიც მან ამის გამო წარმოადგინა, აღნიშნულია ის მძიმე მდგომარეობა, რომელშიაც მოექცევიან ჩვენი წარმოებანი, რომელნიც ეს არის იწყებენ გაუმჯობესებას და თითქმის ძლივ-ძლივობით იხდიან წაღებულ სათბობ მასალის საღირალს არსებულ ფასების მიხედვით.

გარდა ამისა სანავთო პროდუქტებზე ფასების ასეთ აწევას, შეუძლია დიდი ზარალი მიაყენოს თვით აზერბეიჯანის სანავთო მრეწველობას, ვინაიდან იგი ვერ შესძლებს კონკურენცია გაუწიოს საზღვარ-გარეთიდან მოსულ ნავთს, რომლის იქ ყიდვა უფრო ხელსაყრელი იქნება, ვიდრე „აზნეფტში", რადგან ამ შემთხვევაში, გარდა საქართველოში არსებულის სხვა გადასახადის გადახდა არ იქნება საჭირო.

საქართველოს უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ზემოხსენებული, დაადგინა, საქართველოში სანავთო პროდუქტებზე განზრახული სააქციზო გადასახადი არ იქნეს შემოღებული. გარდა ამისა გადაწყდა შუამდგომლობა აღიძრას საკავშირო საბჭოს წინაშე, რათა უკანასკნელმა გამართოს მოლაპარაკება მოსკოვთან სანავთო პროდუქტებზე სააქციზო გადასახადის შემცირების შესახებ, განსაკუთრებით ნავთზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში და აგრეთვე საქართველოში.

შემოტანილ ყველა სანავთო პროდუქტებზე. მოიხსნას გადასახადი; სამ. სახალხო მეურნეობის საბჭოთა განთავისუფლებულ იქნას აქციზის გადახდისაგან სანავთო პროდუქტებისათვის, რომელიც მან მიიღო აპრილში და მაისში, რაც შეადგენს 24,305,400,000 მანეთს საბჭოთა ფულის ნიშნებით, რადგან სააქციზო გადასახადის შემოღება სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შეიტყო მხოლოდ ივნისის პირველ რიცხვებში. ამ საკითხის საბოლოო გამორკვევამდე გაშვებულ იქნეს საქართველოს კუთვნილი ნავთის პროდუქტები ქ. ბაქოში აქციზის გადაუხდელად.

ნაწლავების დამზადების კონცესია.

მოწონებულია საკონცესიო ხელშეკრულების პროექტი ცხოველთა ნაწლავების დასამზადებლად და რეალიზაციისათვის როგორც მაგ. ღორის, ცხვრის, თხის, მსხვილფეხა საქონლის, ცხენისა, ქლემის და სხვა; ხელშეკრულებისდადება განზრახულია საბჭოთა რუსეთის საგარეო ვაჭრობის კომისაციატისა ერთის მხრივ და აღმოსავლეთის სავაჭრო სინდიკატის საქციო საზოგადოების შორის მეორეს მხრივ. ხელშეკრულება ანიჭებს კონცესიონერს გატანის, შეგროვების და დამზადების უფლებას სამი წლის განმავლობაში დღიდან მისი ხელმოწერისა. კონცესიონერი თავის მხრით გადაუხდის საგარეო ვაჭრობის კომისარიატს მანიჭებულ საკონცესიო უფლებისათვის 30 პროცენტს საზღვარ-გარეთ გატანილ ნაწლავების თვითეულ პარტიის სრული შემოსავლიდან იმ ვალიუტით, რომელსაც განსაზღვრავს თვით საგარეო ვაჭრობის კომისარიატი, ამავე დროს კონცესიონერი აძლევს უკანასკნელს ნაწლავების საქონლის გადარიცხვიდან მინიმალურ შემოსავლის გარანტიას, რომელიც გამოიხატება წლიურად 30.000 ოქროს მანეთში, ხოლო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში სულ 90.000 ოქრო მან. თუ ნაჩვენები გადარიცხვა არ შეადგენს ამ თახხას ეს შემოსავალი უნდა იქნეს შევსებული კონცესიონერის მიერ საკუთარი საშუალებიდან.

კოოპერაციის საქმეთა სამმართველო.

დამტკიცებულია კოოპერაციის საქმეთა სამმართველოს კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: ტოროშელიძე, ჩაიტაკი, კანდელაკი ვ., ერისთავი და ცაგარელი. (ცეკავშირიდან) კოლეგიის თავმჯდომარედ დანიშნულია ამხ. ტოროშელიძე, ხოლო მის მოადგილეთ ამ. ვ. კანდელაკი. დამტკიცებულია აგრეთვე კოოპერაციის საქმეთა სამმართველოს შტატი 3 კაცისაგან.

ქარხნის კონცერტი.

ქარხნის დღეობა ეტკბობა ჩვენს სულს,
ოფლით დაწურულს მძლე გულს გვიხარებს,
საფლავს აბარებს არეს დაბურულს,
ღამით დანისლულს—კრულს ყოფნის მხარეს.

—

სამანქანოში ოფლს ღვრის სცენარი,
სცენაზე ქარი ჩნდება ქარულით,
ფარული აზრით ჩამოჰკრავს ზარი,—
ოცნების ზღვაში ვცურავთ მხარულით.

—

დღეს სამანქანო სცენით შევცვალეთ,
რაც ვღვარეთ ცრემლი გვსურს დავივიწყოთ,
უნდა დავიწყოთ კონცერტი მალე,
მაშ, მანქანებო, ხმები ავიწყოთ.

—

ლურჯ ხალათებში ყველამ იცეკვოს,
მქშინვაში მატორს დღეს ეს ახარებს;
მტერს კი ამწარებს, რომ უნდა ეტრფოს
ქარხნის კონცერტში მუსიკის ჰანგებს.

2.

აქ ცეცხლის ალი ბალეტმეისტრობს,
იქ დირიჟორობს ორთქლი ქვაბებში,
შრომა პარტერში ისმენს, ქეიფობს,
ხრახნილი სოლოს მღერის სარქველში.

—

რგოლების გუნდი შრომის ჰიმნს მღერის,
ბრძმედი იმღერის არიას ბრძოლის,
ქანჩებს დუეტით გული უძგერის
ღვედი წვრილ ხმაზე ჰკრებს ჰანგებს ქროლის.

სანდრო ეული.

ქრონიკა

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში, წერილში „თბილისის საბჭოს არჩევნები", კორექტურული შეცდომით არის გაშვებული: „მან ერთხელ კიდევ უთხრა მათ, რომ არასფერი საერთო არ აკავშირებს მას იმ **ერთგულებთან**, რომლებზედაც ასე დახურდავდა ძველი მენშევიკური პარტია". ხაზგასმული სიტყვის მაგიერათ უნდა იყოს: „**ერთეულებთან**".

◆ **ქართ. შორის წერა-კითხ. გამ. საზოგადოებაში.** კვირას დილის 11 საათზე გაიხსნა წ. კ. გ. საზ. რწმუნებულთა და მუდმივ წევრთა საზოგადო კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა დ. კარიჭაშვილი. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულ იაკ. გოგებაშვილის, ლ. ყიფიანის, ი. ჭავჭავაძის, ნ. ცხვედაძის და სხ., საზოგადოების დამაარსებულთა ხსოვნას.

კრებას მოხსენდა საზოგადოების 43 წლის მოქმედების ანგარიში (დაარსების დღიდან), რაც დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი.

შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება 1921 წ. მოქმედების შესახებ, სარევიზიო კომისიის შენიშვნები და გამგეობის პასუხი. დიდი კამათის შემდეგ კრებამ ერთხმად დაამტკიცა ანგარიში.

კრების გაგრძელება დანარჩენი კითხვების განსახილველად დანიშნულია ოთხშაბათს, 21 ივნისს, საღამოს 7 საათზე (წ. კ. გ. საზ. ბინაზე, სასახლის ქ. № 5).

◆ **კომპოზიტორ სულხანიშვილის საღამო.** დღეს 20 ივნისს რუსთაველის თეატრში გაიმართება კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის ნაწარმოებთა საღამო, რომელზედაც შესრულებულ იქნება მხოლოდ სულხანიშვილის ნაწარმოებნი. პირველი განყოფილება გაიხსნება სამგლოვიარო ჰიმნით, რომელსაც შეასრულებს ქალვაჟთა გაძლიერებული გუნდი ი. პაპიაშვილის ლოტბარობით. სულხანიშვილის პორტრეტის წინაშე—უკანასკნელი ნახატი მხატვარ ვალ. სიდამომ-ერისთავის მიერ, სიტყვებს წარმოსთქვამენ კომპოზიტორი დ. არაყიშვილი, ვ. კოტეტაშვილი და დ. პავლიაშვილი. ლექსებს: გალაქტიონ ტაბიძე, გ. ქუჩიშვილი და ი. მჭედლიშვილი. დასასრულ გუნდი შეასრულებს: „ქება ივერიისა", რომელიც საგანგებო ჟიურის მიერ დაჯილდოვებულია პრემიით.

მეორე განყოფილებაში გუნდის მიერ შესრულებულ იქმნება: 1. სამშობლო ხევსურისა; 2. მაშ გამარჯვება; 3. გუთნური—სოლო, ოპერის მომღერალი ივ. სარაჯიშვილი; 4. მესტვირული—სოლო—ოპერის მომღერალი ინაშვილი: 5. ტურფავ მოდი, ტრიო; 6. მოფანდური—სოლო, ოპერის მომღერალი ინაშვილი; 7. დაიგვიანეს—არია მწყემსისა—ოპერა „პატარა კახიდან"—ოპერის მომღერალი სარაჯიშვილი; დასასრულ ლოცვა ორკესტრით, რომელიც საგანგებო ჟიურის მიერ დაჯილდოებულია პრემიით. იმედია მშრომელი ფართე მასები, რომელთაც კარგათა ჰყავთ გაცნობილი თვის გულის მესაიდუმლე სახალხო კომპოზიტორი სულხანიშვილი თვის დასწრებით გარდა ესთეთიურ სიამოვნებისა დაეხმარებიან სულხანიშვილის ქვრივ ობლებს, რომელთა სასარგებლოთაც იმართება ეს საღამო.

აღმოსავლეთ საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალისაგან.

13 ივნისს ქ. თბილისში გაიხსნა და დაიწყო მოქმედება აღმოსავლეთ საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალმა, დაარსებული თანახმად

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებისა ა. წ. 25 აპრილიდან № 3. ტრიბუნალი იმყოფება სასამართლოს დაწესებულებების შენობაში, სასამართლოს ქ. № 32.

ახლად დაარსებული ტრიბუნალი მიიღებს ყველა რევოლიუციონურ ტრიბუნალების საერთო დებულებით და იღებს საწარმოებლად საქმეებს აღძრულ აღმოსავლეთ საქართველოს გარკვეულ დებულების ჩვეულებრივ წესით.

ახლად დაარსებულ აღმოსავლეთ ტრიბუნალთან ერთად უზენაესი ტრიბუნალი გარდაქმნილია უდიდეს საქმეების განსაკუთრებულ სასამართლოდ, რომელიც იღებს განსახილველად საქმეებს მხოლოდ თანხმად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით.

ზემოაღნიშნულის მიხედვით ყველა დაწესებულებებმა საქართველოს ტერიტორიაზე, აღძრული საქმეები, რომელნიც ექვემდებარებიან რევოლიუციონურ ტრიბუნალებს, გარდა განსაკუთრებულ უდიდეს საქმეებისა, რომლებიც უნდა იქნეს გადაცემული განსახილველად ზემოხსენებული წესით უზენაეს რევტრიბუნალს, ამიერიდან უნდა გაუგზავნონ აღმოსავლეთ საქართველოს რევოლიუციონურ ტრიბუნალს.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოში.

თბილისის ჰიდრო-ელექტრონური სადგური. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა 1922 წლის 15 მარტის თავისი დადგენილება თბილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტისადმი 2 წლის განმავლობაში ხაზინაში „ჩემოს" საზოგადოებიდან წმინდა შემოსავლის 30 პროცენტის გაცემის შესახებ ჰიდრო-ელექტრონის სადგურის მოსაწყობად; ამასთანავე დადგენილია მიენდოს ფინანსთა სახალხო კომისარიატს შევიდეს შეთანხმებაში „ჩემო"-ს საზოგადოებასთან ხაზინის შემოსავლიდან აღნიშნული პროცენტების გადაცემის წესის გამომუშავების შესახებ, რათა „ჩემო"-ს საზოგადოების საზღვარგარეთელ ფირმებს გარანტია მიეცეს ქალაქის აღმასკომის მიერ თავის დროზე იმ ხარჯების გადახდისა, რომელიც მან უნდა გასწიოს თბილისში ჰიდრო ელექტრონის სადგურის დადგმაზე მუშაობისათვის.

საზოგადოებრივი ბრალმდებლები. იუსტიციის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად ქ. თბილისში საზოგადოებრივ ბრალმდებლებად დამტკიცებული არიან ამხანაგები: გ. ტატიშვილი და ნ. ჩუბიაშვილი შ. დადიანის მაგიერ; ა. წერეთელი საზოგადოებრივ ბრალმდებლად რაჭის მაზრაში.

პრაქტიკული მეცადინეობისათვის. მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობით გადაწყვეტილია გასცეს უკანასკნელმა 150,000,000 მანეთი მიმდინარე წლის ზაფხულში პრაქტიკულ სამეცადინოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტებისათვის.

— **ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის შემოსავალი.** მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის განცხადების გამო ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის ფულის გადაგზავნის [illegible] მოქმედების შესახებ, სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატს ყველა შემოსავალი როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივად შემოტანილ იქნას ხაზინაში და ამასთანავე დაევალოს ფინანსთა სახ. კომისარიატს ყველა ეს თანხა გარდა საფოსტო გადაგზავნაზე აღებულ გადასახადისა გადაიდვას ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის საჭიროებისათვის.

— **დამტკიცებული ხარჯთ აღრიცხვა.** დამტკიცებულია დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატისა 1222 წლისათვის 52,735,000,000 მანეთის ჯამით.

— **საქონლის განყოფილება სახალხო ბანკთან.** საქართველოს სახალხო ბანკთან საქონლის განყოფილების გახსნასთან დაკავშირებით დამტკიცებულია დადგენილების პროექტი სახალხო ბანკის წესდების დამატების შესახებ.

— **დეკრეტის მიღება.** სახალხო კომისართა საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე დამტკიცებულია დეკრეტების პროექტები წარმოდგენილი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ კერძო მეპატრონეთა სახლებში საცხოვრებელ ბინებით სარგებლობის და საბინაო გადასახადის ტარიფის შესახებ.

— **სახელოვნო კომიტეტისაგან** სახალხო განათლების კომისარიატის მთავარი სახელოვნო კომიტეტი ამით აცხადებს მწერალთა და მახიობთა საყურადღებოდ რომ პენსიებისა და დახმარების შესახებ თხოვნების მიღება დროებით შეჩერებულია.

სასურსათო თათბირი

რეზოლიუცია.

სახ. სახ. კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ მიღებული სასურსათო თათბირის მიერ ამხ. ერქომაიშვილის მოხსენების შემდეგ

1. სახალხო სასურსათო კომისარიატის მოღვაწეობას დღიდან მისი დაარსებისა საფუძვლად დაედო პრინციპი სოფელთან მტკიცე ეკონომიურ კავშირის დამყარებისა, ვინაიდან მხოლოდ სოფელსა და ქალაქს შორის დამყარებულ მტკიცე ურთიერთობაზე არის შესაძლებელი სასურსათო პოლიტიკის აგება და დაძლევა იმ მძიმე სასურსათო კრიზისისა, რომელსაც საქართველო განიცდის მენშევიკების ბატონობის შემდეგ.

2. სახალხო სასურსათო კომისარიატის ხელში ფულის უქონლობამ—ერთი მხრით და ჩვენი ქაღალდის ფულის ფასის გამუდმებულმა ძირს დაცემამ—მეორეს მხრით, მოითხოვა სოფელთან განსაკუთრებული მიდგომა და ჩვენს მუშაობას საფუძვლად დაუდო კონტრაქციის საშუალებით საქონლის გაცვლა, ხანდახან სრული და უმეტეს შემთხვევაში კი ნაწილი საქონლით, ნაწილი ფულით.

3. მაგრამ საქონლის გაცვლის ოპერაციები ფართლეულისა და სხვა ფაბრიკატების უქონლობის გამო ვერ განვითარდა ფართო მასშტაბით და საქონლის გაცვლას არ მოჰყვა ის შედეგები, რომელიც მოსალოდნელი იყო იმ შემთხვევაში, თუ ფაბრიკატები იქნებოდა, ფინანსთა სახალხო კომისარიატის მიერ ყოველდღიურ მცირე პორციებით მოცემული ფულის ნიშნები შესაძლებლობას არ გვაძლევდა მსხვილი პარტიობით გვეწარმოებინა ჩვენთვის საჭირო პროდუქტების დამზადება ამავე დროს ფართოდ წარმოებული პრინციპი სოციალურ დახმარებისა სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან დიდს სამსახურს მოითხოვდა, რის მაგიერათ არც ერთი კომისარიატი არა სთვლიდა თავს მოვალეთ, რომ რაიმე კომპენსაცია მოეცა.

4. ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსავალი ჩვენ ვპოვეთ მჭამელთა რიცხვის მაქსიმალურ შემოკლებაში და შემოსავალთან ხარჯების გათანასწორებაში დიდად დაგვეხმარა ჩვენ სასურსათო გადასახადის მოგროვება, რომლის შედეგიც მაისის ფასებით 84 653.780.000 მანეთს უდრის. სასურსათო კომისარიატმა ფინანსთა კომისარიატისაგან იანვრის 1 დან ივნისის 10-ე მიიღო 21 426 000.000 მან. ამავ ხნის განმავლობაში სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე მყოფ მუშებს და მოსამსახურეებს დაურიგდათ ულუფა ღირებული 293.295 039.000 მან.; კრიტიკულ მდგომარეობისთვის თავის დასაღწევად სახალხო სასურსათო კომისარიატმა მიმართა საკომერციო ოპერაციებს და შეუდგა მოსკოვში მარშრუტების გაგზავნას, საზღვარგარეთ ჩვენის სავალუტო ნედლი მასალის განაღდებას და ოპერაციებიდან მიღებულ მოგებით სახელმწიფოებრივ მომარაგების ხარჯების დაფარვას.

5. სახელმწიფოებრივ წარმოებათა სამეურნეო საფუძველზე გადასვლის კვალად და სამსახურისათვის ფასის გადების პრინციპის დამყარების მიხედვით სახალხო სასურსათო კომისარიატი უფრო და უფრო ანვითარებს თავის საკომერციო ოპერაციებს და გადაჰყავს თავის წარმოებანი სამეურნეო საფუძველზე ისე, რომ უახლოეს თვეებშივე შეიძლოს სასურსათო გადასახადით, მინდით და საკომერციო ოპერაციების მეშვეობით მომარაგოს განსაზღვრული რიცხვი მუშებისა და მოსამსახურეებისა; ამასთანავე მიზნად ისახავს, ხელში ჩაიგდოს პურის ბაზარი, მოაწესრიგოს პურის ფასები, დასწიოს მისი ღირებულება და მით აწარმოოს ბრძოლა ეკონომიურ ცხოვრების მოგვარებისათვის და მუშათა ხელისუფლების განმტკიცებისათვის.

6. სახალხო სასურსათო კომისარიატის არსებობას ის დიდი სარგებლობა ამართლებს, რომელსაც იგი აძლევს სახელმწიფოს. იმ დროს, როდესაც სახალხო სასურსათო კომისარიატის განკარგულებაში მცირე რესურსები იყო, როდესაც ფართოდ ხორციელდებოდა პრინციპი სოციალურ დახმარებისა, როდესაც სახალხო სასურსათო კომისარიატს უდიდეს მოთხოვნილებებს უდგენდნენ სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებანი, სახალხო სასურსათო კომისარიატმა მოახერხა დაერიგებინა ულუფა, ღირებული ბევრად იმაზე მეტი რამდენიც თვით მან მიიღო, რაც აიხსნება ამ კომისარიატის მიერ გამოჩენილ ენერგიით საკომერციო ოპერაციების დარგში.

7. ახალ ეკონომიურ პოლიტიკისა და შექმნილ კონიუნქტურის დროს საჭიროა საკომერციო ოპერაციების განვითარება და თანდათანობით გადასვლა სამეურნეო საფუძველზე იმიტომ, რომ მიღებულ მოგებით შესაძლებელი გახდეს უზრუნველყოფა მუშათა და მოსამსახურეთა ნაწილისა მაინც.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ს. მ. უ. ს.

მომარაგების საბჭოს სავაჭრო მოქმედება

სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის დროს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მომარაგების საბჭოს დაებადა აზრი თავისი საქონელი გამოეყენებია კერძო ბაზარზე. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ ნება დართო მომარაგების საბჭოს გამოეყო საქონლის საგანგებო ფონდი, რომელიც შესდგებოდა იმ მასალებიდან, რომელიც უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოო განყოფილების არ ესაჭიროებოდა მათი რეალიზაციით კერძო ბაზარზე უნდა შეესყიდულიყო ახალი მასალები.

გასული წლის დასაწყისში მომარაგების საბჭო შეუდგა საქონლის გაყიდვას და გადაწყვეტილი იყო მათი გაყიდვა ეწარმოებიათ უშუალოთ მომარაგების საწყობიდან საბჭოს მაგრამ უკანასკნელის სიშორემ და სავაჭროთ მოუწყობლობამ ხელი შეუშალა მყიდველების მიზიდვას, რის გამოც დადგენილ იქნა ამ საქონლის გასანაღდებლათ გაეხსნათ საკუთარი სავაჭრო. პირველი მაღაზია № 2 გახსნის საწყობთან სომხურ ბაზარზედ.

პირველად მომარაგების საბჭომ ამ მაღაზიაში დააწყო ცოტა საქონელი, უმთავრესად მანუფაქტურა, კანცელიარიის საჭირო ნივთები, ჭურჭლები და ფართო მოთხოვნილების სხვა და სხვა საგნები. ფასები საქონელზე დაწესა საგანგებო კომისიამ და ბაზრის ფასებთან შედარებით უფრო დაწეული აღმოჩნდა. სწორეთ მაღაზიის გახსნის შემდეგ ბაზარზე ფასები ყველა საგნებზე ძლიერ გაიზარდა ფასების სიმცირის გამო მაღაზიას მოაწყდა ვაჭრები, რომელთაც სურდათ დაკლებულ ფასებში შეეძინათ პროდუქტების დიდი პარტია. სპეკულიაციური ვაჭრობის ხელში რომ არ ჩაეგდო საქონელი, მაღაზია იძულებული იყო განესაზღვრა საქონლის გაცემა მცირე პარტიებით

მაღაზიის საქონლის ასსორტიმენტი თანდათანობით ივსებოდა საწყობიდან სხვა და სხვა საქონლით, როგორც მაგალითად, საპონით, პაპიროსებით დამუშავებული სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საწარმოო განყოფილებების მიერ.

თებერვალში გაიხსნა მეორე „თამბაქოს" მაღაზია ერივნის მოედანზე, სპეციალურათ თამბაქოს ტრესტის ნაწარმოების გასანაღდებლად. № 1 საბითუმო საწყობი მაღაზიის ცენტრიდან სიშორის გამო, მომარაგების საბჭომ გადასწყვიტა ესარგებლა შენობით სასახლის ქუჩაზე და აქ მარტში გაიხსნა, სათვალავით მესამე, უნივერსალური მაღაზია მომარაგების საბჭოს. აქ მანუფაქტურის, საგალანტერიო და სხვა ფართო მოთხოვნილების საგნებს გარდა, შეხვდებით ტეხნიკურ მოწყობილობის ნივთებს, ავეჯებს, ჭურჭლებს და აგრეთვე საკვებ პროდუქტებსაც.

ყველა მაღაზიების საჭირო საქონლით და მასალებით მომარაგება უმთავრესად და პირველ რიგში საწარმოებს მომარაგების საბჭოს საწყობიდან. ასსორტიმენტის შესავსებათ სწარმოებს საქონლის შესყიდვა კერძო ბაზარზე, სახელმწიფო დაწესებულებებიდან და კერძო ფირმებიდან.

ამ დღეებში კონსტანტინოპოლში გაემგზავრა მომარაგების საბჭოს წარმომადგენელი იქ ნედლი მასალის გასანაღდებლათ, რომელსაც ეძლევა საქონლის დიდი მარაგი. თავის საქონლის გარდა, მომარაგების საბჭოს მაღაზიები ვაჭრობს უცხოელ ფირმების საქონლითაც საკომისიო წესით.

პირველ თვეებში მაღაზიებში სარგებელი გაყიდულ საქონელზე მცირე იყო, რაც აიხსნება თებერვალში ფულის ნიშნების კრიზისით. დაწყებული მარტიდან სარგებელი იზრდება თითეული თვის განმავლობაში 100 პროცენტით.

ვაჭრობის სიდიდეზე წარმოდგენას იძლევა შემდეგი ნუსხა (ათას მანეთობით)

მომარაგების საბჭოს 4 მაღაზიის საქონლის ბრუნება:

იანვარში — — —	135,670
თებერვალში — —	519,283
მარტში — — —	1,372,164
აპრილში — — —	2,751,812
მაისში — — — —	4,447,509
სულ	9,226,445.

ნაჩვენებ ბალანსით გამოირკვა, რომ მომარაგების საბჭოს მაღაზიები იძლევა წმინდა მოგებას, 10-დან 15 პროცენტამდე. მაღაზიების შემოსავალი სავსებით ხმარდება საქონლის ბრუნების განვითარებას.

ეხლა მომარაგების საბჭო აპირებს მაღაზიების გაძლიერებას ახალი საქონლით და გახადოს ისინი ხელმისაწვდომათ ფართო მოთხოვნილებისათვის.

რაც შეეხება პროვინციებს იქ, ტეხნიკურ დაბრკოლებების გამო მომარაგების საბჭო არ აპირებს მაღაზიების გახსნას, მხოლოდ გამოყენებული იქნება ადგილობრივი ეკონომიური განყოფილებანი და კოოპერატივები.

მათ მომარაგების საბჭო მიაწოდებს ფართო მოთხოვნილებების საქონელს კრედიტის სახით 2—3 თვის ვადით, ხოლო ეკონომიური განყოფილება და კოოპერატივები ადგილობრივად აწყობენ თავიანთ მაღაზიებს, სადაც ანაღდებენ მომარაგების საბჭოს საქონელს.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

(საუბარი ამხ. ნადარეიშვილთან)

ზუგდიდის მაზრაში. ეს არის ახლახან დაბრუნდა ზუგდიდის მაზრაში დასათვალიერებლად გამგზავრებული თესვის ცენტრალური ინსტრუქტორი ს. რ. ნადარეიშვილი, რომელმაც ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს სთქვა; რომ მაზრაში თესვის უმთავრესი მასალა, არის სიმინდი, ამიტომ მაზრაში საგაზაფხულო ნათესები არ არის, ხოლო აწეული ნათესები ცოტაა აწეულიდან უმთავრესად ხორბალი და ჭვავი. აწეულის ჯეჯილი მთელ მაზრაში კარგია სიმინდის ჯეჯილი საუცხოოა. ერთ ქცევაზე (900 კვ. საჟ.) მოელიან 40 50 ფუთს; სიმინდი დათესილია რიგებად და დაბნევით. თესვის სამაზრო კომიტეტმა მიიღო მინდვრების დასათესად: ჭვავი 985 ფ. ხორბალი 905 ფ, ავსტრალიის ხორბალი 2820 ფ ადგილობრივი სიმინდი 5400 ფ. და ამერიკული 2700 ფ, სულ დაახლოვებით 12810 ფუთი. გარდა ამისა დაურიგდა მცხოვრებთ 1238 ფ სიმინდი, რომელიც მიღებული იყო შარშან დღეს გაცემულ სესხის ანგარიშში. ავსტრალიის ხორბალი და ჭვავის ნაწილი გაცვლილი იყო ადგილობრივ სიმინდზე, რამაც სათესლე მასალის რაოდენობა გაზარდა, ვინაიდან 1 ფუთი ავსტრალიის ხორბალში მიიღეს 1 ნახ.—2 ფუთი სიმინდი.

სამაზრო თესვის კომიტეტის საწყობში დარჩა 590 ფ ჭვავი, 106 ფ. წითელი ხორბალი და 86 ფ. 25 გირ. ავსტრალიის ხორბალი.

ყურძნის მოსავალი, როგორც ზუგდიდის ისე მის გვერდით მდებარე შორაპნის მაზრაში შარშანდელთან შედარებით იქნება ნახევარზე ნაკლები, ვაზის მავნეთა გაჩენის გამო.

სხვა ხეხილის მოსავალი იქნება საშუალო, ბაღები კარგ მდგომარეობაშია.

ზუგდიდის მაზრაში მწვავე სიმშილი არ არის, სამაგიეროთ შორაპნის მაზრა ძლიერ დამშეულია, და ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ყოფილა სიკვდილის შემთხვევებიც სიმშილის ნიადაგზე.

ნათესების მდგომარეობა ჩვენში

ქუთაისის მაზრაში

(საუბარი ამხ. ახვლედიანთან)

სამაზრო სათესი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ახვლედიანმა გვაცნობა, რომ მაზრაში ამ ჟამად გვალვებია. მინდვრების დასათესად კომიტეტმა მიიღო ცენტრალურ კომიტეტიდან 10.885 ფუთი და 7 გირვ სიმინდი და 4 975 ფუთი და 2 გირვ. ავსტრალიის ხორბალი. სიმინდი მთლად დარიგდა მცხოვრებლებს შორის, ხოლო ავსტრალიის ხორბალიდან კომიტეტს 1 ივნისისათვის დარჩა 741 ფუთი, დანარჩენი კი დაურიგდა მცხოვრებლებს ადგილობრივ სათესი სიმინდზე გადასაცვლელად; 1 ნახ. ფუთ სიმინდში ვაძლევთ 1 ფუთ ხორბალს.

ზამთრის პურს კარგი პირი უჩანს და სამვალოზე მეტი მოსავლის იმედს იძლევა. ზამთრისას ძალიან ცოტას სთესენ და ისიც მხოლოდ ხორბალს.

გაზაფხულის პურსაც კარგი პირი უჩანს. მოელიან საშვალოზე მეტ მოსავალს, რადგანაც ამ წელში მცირე არის ატმოსფერის ნალექის რიცხვი.

სიმინდსაც კარგი პირი უჩანს და თუ გვალვებმა გაიარა და წვიმა მოვიდა მოსავალი ძალიან კარგი იქნება.

სოფლის მეურნეობის მავნეთაგან ზეკარის თემში, კიკნაველეთისა და ბაღდათის თემის ზოგიერთ ადგილებში გაჩნდა მავნე ცხოველი. მასთან ბრძოლა არ არის მოწყობილი.

ვენახის მოსავალი კარგია, მაგრამ საწამლავი მასალა მცხოვრებლებს ძალიან ცოტა აქვს.

ხეხილის მოსავალი ძალიან კარგ იმედებს იძლევა. მოსტნეულობაზე დიდ გავლენას ახდენს გვალვა. დათესილია ლობიო, კიტრი, პამიდორი, კარტოფილი, და სხვა და სხვა წვანილი.

სიმშილობა მოედო მთელ მაზრას, მაგრამ განსაკუთრებით გაჭირვება შია-ტყიბულის თემი, სამტრედიის რაიონი, გამოჩინებული და გულეიკარი. სიმშილისაგან სიკვდილს არ ქონებია ადგილი. მცხოვრებლები უმთავრესად ხილით საზრდოობენ.

პროვინციაში

სოფ. ხუნწი

(სამეგრელო).

მუშათა დღესასწაულ დღეს ა. წ. 1 მაისმა, საერთოდ საქართველოს გლეხ-კაცობას და კერძოდ სამეგრელოისას, ერთი დაუძინებელი მტერი, სხვისი ნაოფლარით ჯერ კიდევ გაუმაძღარი პიროვნება მოაშორა.

საქმის ვითარება შემდეგში იყო: 1 მაისს, ხუნწის თემის რევკომის თავმჯდომარე ამხ. თეიმურაზ ნიკოლოზის ძე ხარებავას მოუვიდა ცნობა, რომ ს. ქ. ხუნწის ადგილობრივ ერთერთ მცხოვრების ოჯახში (ბოროტმოქმედების მიზნით თუ ყაჩაღების მხრივ ძალდატანებით, ამას გამოძიება გვიჩვენებს), თავის სასიმინდეში თავშესაფარი დაუთმო ყაჩაღებსაო.

ხარებავამ მსწრაფლად შეჰკრიბა შეიარაღებული პარტიული და საიმედო ამხანაგები და გაეშურა ყაჩაღების ბინისკენ. მას ალყა შემოარტყეს; რევკომის თავმჯდომარემ თავის მოადგილე ციცქვაიას სამი შეიარაღებულ პირის თანხლებით გამოცხადდა ყაჩაღების დამფარველ პირთან და წინადადება მისცა ყაჩაღების სადგომი ეჩვენებია, რაზედაც მან პასუხად ყაჩაღების იქ ყოფნის უარყოფა მიიღო. საჭირო იყო ჩქარი მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყაჩაღების მხრივ საფრთხე იყო მოსალოდნელი. ხარებავა გაბედულად სასიმინდეს მიუახლოვდა და იქიდან მოულოდნელად იარაღში ასხმულ ყაჩაღმა გამოხტომით სროლა აუტეხა. ასტყდა სროლა ამ ორ შორის, უშედეგოთ. ყაჩაღმა გაჰკურცხლა და მას სასიმინდედან მეორე გამოჰყვა, მაგრამ მხოლოდ ხარებავამ თავის სიმამაცით და თავგანწირული მოქმედებით შეაჩერა ყაჩაღი და იარაღი აჰყარა. მასვე აღმოაჩნდა ბომბი და რამოდენიმე მილიონი ქართული ფული. უკვე დაბნელებული იყო. ამით გაქცეულ ყაჩაღმა ისარგებლა და შეიარაღებულ რკალს გაეპარა, და თვით იწყო ტყვიისფრქვეველის მაგვარათ სროლა.

სასიმინდეში აღმოჩნდა ერთი ტომარა წაღები, შეკერილი კოსტიუმები, ფართლეულობა, ოქროულობა და საწოლი ლოგინი.

დატყვევებული ყაჩაღი გამოტყდა იქვე. გამოირკვა, რომ ისინი (მაშინ ყოფილან სამი) ისინი დაცემიან ქ. ხონის, ბანძის და სხვა ქალაქების მცხოვრებთ.

დატყვევებულ ყაჩაღმა გაქცევა დაპირა, მაგრამ მოკლულ იქნა.

სახლის პატრონი დატყვევებული იქნა. გაქცეული ყაჩაღი სამი კვირის შემდეგ იქნა მოკლული სოფელ ინჩხურში.

ქ. ხონს, ნაღალევს და ბანძას ტელეფონით აცნობეს მომხდარი ფაქტი. გამოძიება სწარმოებს. ზემოაღნიშნულ სოფელს ქურდები ამ ბოლო დროს ძალიან აწუხებდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ.

ხარებავამ თავს იდო სოფლის ინტერესების დაცვა და სასტიკი ომი გამოუცხადა ქურდ ყაჩაღებს.

ამას ფრიად სასიამოვნო შედეგებიც მოჰყვა: ქურდობა შემცირდა, სოფელში მშვიდობიანობა დამყარდა და ადმინისტრაცია ხალხის თვალში ამაღლდა.

ბ. ხუნწელი.

საჭამიასერი.

(გურია).

ამა წლის ოთხ ივნისს შესდგა საჭამიასერის თემში მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი მიტინგი. მიტინგს ხსნის რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ამბროსი ზაქარეიშვილი.

მოხსენებით მიმდინარე მომენტზე გამოდის სამაზრო კომიტეტის წევრი ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილი.

მომხსენებელი ვრცლად ეხება მიმდინარე მომენტს, ეხება გენუის კონფერენციას, აღნიშნავს საბჭოთა ფედერაციის გაძლიერებას მასზე და კაპიტალისტურ ქვეყნების უძლურებას. დასასრულ მომხსენებელი სასტიკად გმობს კონტრრევოლიუციონურ გამოსვლებს, რომელსაც აქა იქ ადგილი ჰქონდა 24 მაისს.

ამხ. მგალობლიშვილის შემდეგ ლაპარაკობს მიტინგის ხელმძღვანელი ამხ. ზაქარეიშვილი, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო მდგომარეობას, ჩერდება მიმდინარე მომენტზე, ჯამს უკეთებს გენუის კონფერენციის შედეგებს და ამ კონფერენციასთან დაკავშირებით ქართველი მენშევიკების „მუშაობას".

ბოლოს არატორი ეხება მუშათა ერთიანი ფრონტის მნიშვნელობას, ხაზს უსვამს ყველა იმ დაბრკოლებებს, რომელიც შექმნა მეორე, ყვითელ ინტერნაციონალმა მუშათა ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, უსურვებს რევოლიუციონურ პროლეტარიატს ყველა დაბრკოლებების გადალახვას ასეთი ფრონტის შესაქმნელად საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

არატორის სიტყვას ფარავს ტაშის ცემა და „გაუმარჯოს" ძახილი.

ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: საჭამიასერის მრავალ რიცხოვანმა მიტინგმა, მოისმინა რა მოხსენებები ამხ. გრიგორ მგალობლიშვილის და ამბროსი ზაქარეიშვილის სავსებით იწონებს საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ გადადგმულ ყველა ნაბიჯებს, აღუთქვამს ყოველ მხრივ დახმარებას მას და გმობს ანტისაბჭოთა მოქმედებებს.

გაუმარჯოს მუშათა გაერთიანებულ ფრონტს საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს საერთაშორისო რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

ნაპერწკალი.

საგარეჯოს [illegible]

საქართველოს [illegible] შემდეგ, საგარეჯოს უბნის უპატრონოთ მყოფი და ულარიბეს გლეხების ბავშვებს წილად ხვდათ დიდი ბედნიერება და ისინი დღეს ყველა მოთავსებულია ბავშვთა თავშესაფარში, სადაც ირიცხება 16-დე ბავშვი, ბავშვთა რიცხვი დღითი-დღე მატულობს. თავშესაფარს დახმარებას უწევდა თბილისის მაზრის კომიტეტი, ადგილობრივი პარტკომი და აღმასკომი, და შეძლების დაგვარად აკმაყოფილებდნენ ბავშვთა თავშესაფარის მოთხოვნილებებს.

ამ მოკლე ხანში საგარეჯოში ჩამოვიდა თბილისის მაზრის აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. გურგენიძე, რომელმაც ჯეროვანი ყურადღება მიაქცია ბავშვთა თავშესაფარს და მან დიდი ენერგიით და დაუღალავ მუშაობით 4-5 დღის განმავლობაში, შესძინა ბავშვთა თავშესაფარს ის, რაც აუცილებელი საჭირო იყო ამ ბავშვებისათვის.

რა თქმა უნდა, ამან დიდ აღფრთოვანებაში მოიყვანა ბავშვები, და დღეს ისინი არ განიცდიან არავითარ გაჭირვებას, როგორც მატერიალურად ისე სულიერადაც.

ან. პერევისელი.

ფოსტა

ნ. ხმალაძეს. გთხოვთ შეიაროთ „წითელ არმიელი"-ს რედაქციაში, საპირის ქუჩა № 30.

სარედაქციო კოლეგია

სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სათბობ მასალათა განყოფილება

აცნობებს საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებებს, რომელნიც ხარჯავენ სათბობ მასალას, რომ **ის დაწესებულებანი, რომელნიც არ წარმოადგენენ** ივნისის 20-დის თანახმად სათბობ მასალათა განყოფილების ა. წ. 29 მაისის თარიღით № 101688 ცირ**კულიარისა, ივლისის თვისათვის საჭირო სათბობი მასალის რაოდენობის საგეგმო ცნობებს,** არ იქნებიან შეტანილნი სათბობი მასალის საგეგმო მარაგში და დაკმაყოფილებულნი იქნებიან მეორე რიგში კერძო დაწესებულებებთან ერთად და კერძო მომხმარებელთა ფასების მიხედვით.

1—1

სახალხო კვების და საზოგადო ბინების

პროფკავშირთა ცენტრალური გამგეობა, ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში (მუშათა სასახლეში) დანიშნულია

კავშირის წევრთა საზოგადო კრება.

წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს არჩევნები.

თუ პირველ კრებას არ დაესწრო წევრთა საკმაო რიცხვი, მეორე კრება დანიშნული იმავე დღის საღამოს 7 საათზე, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს.

სახ. კვების და საზ. ბინების პროფკავშირის ცენტრალური გამგეობა.

გაზეთის ტრესტი
საექსპედიციო განყოფილება
რუსთაველის პროსპ. № 24
საჭიროა კონტრაგენტი გაზეთების გასავრცელებლად თელავში, ჰიათურაში, ბორჯომში და მის რაიონებში. (5—5)

ყველა იმათ ვისაც სურთ დაიბრუნონ უკან თავიანთი დოკუმენტები

წარდგენილი თავის დროზე ყოფილ შრომის სამინისტროს (მენშევიკების) საპენსიო განყოფილებაში—ვსთხოვთ გაიტანონ ერთი თვის განმავლობაში, ვინაიდან ამ ვადის შემდეგ თხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნება ამის შესახებ განცხადებები შეტანილი უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატში, ღარიბთათვის სახელმწიფო დახმარების განყოფილებაში.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

გაზეთის ტრესტი
რკინის გზების კიოსკების განყოფილება
თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.
გაიხსნა კიოსკები რკინის გზის შემდეგ სადგურებზე:
თბილისი, მიხაილოვი, შორაპანი, ზესტაფონი, სამტრედია, აბაშა, ახალ-სენაკი, ქუთაისი, ფოთი, ბათომი.
სწარმოებს გაყიდვა: ადგილობრივ და სატახტო ქალაქების გაზეთების და ჟურნალების, ლიტერატურულ წიგნების, საკანცელარიო და საწერ ნივთების.
ამ დღეებში გაიხსნება კიოსკები აზერბეიჯანსა და სომხეთში.
მთავარი კანტორა იღებს გასავრცელებლად ყოველგვარ გამოცემას.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან
ცნობლდება ხელის მოწერა თბილისის ყველა გაზეთებზე ივნისისათვის ხელის მოწერის ფასი იგივეა რაც იყო წინად. ხელის მოწერა შეიძლება ყოველ დროს წლის დამლევამდე, მაგრამ იმ პირობით, რომ თუ ხელის მოწერის ფასმა აიწია, დასამატი ღირებულებაც შემოტანილ უნდა იქნას. ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ მთელი თვეებისათვის. იმ ხელის მომწერთ, რომელნიც ხელის მოწერის ფასს არ შემოიტანენ 30 მაისამდე, გაზეთების მიწოდება შეუწყდებათ.

ყინულს
უშვებს საყინულე ქარხანა ქალაქის სასაკლაოებისა 30.000 მანეთად ფუთს ადგილობრივ და 45.000 მანეთად მიტანით.
(3—2)

დაიკარგა

ილია თუთბერიძის სახელზედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მიღებული პირადობის მოწმობა № 429—10 მარტი ჩაითვალოს გაუქმებულათ

1—1

ტირაჟი 10,000.
ნ. დ. ს. ც.
საქართველოს უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა, კრუზენშტერნის ქ. № 4.